გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 6
(11 360)

21 – 24 იანვარი, 2000 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სპორტული სამყარო, ქართული სპორტი გადარჩენის იმედს ქვეყნის პრეზიდენტს უკავშირებს

18 იანვარს, როგორც წინასწარ განცხადებაში ვიუწყებოდით, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში შეიკრიბნენ საქართველოს სპორტული სამყაროს წარმომადგენლები და დაუფარავად იმსჯელეს იმ პრობლემებზე, რამაც ქართული სპორტი კატასტროფამდე მიიყვანა. შეკრებილებმა კატეგორიულად მოითხოვეს ქვეყნის პრეზიდენტისადმი მიმართვის შემუშავება და პირადად პრეზიდენტთან წარმომადგენლობითი დელეგაციის აუცილებლად შეხვედრა. ქვემოთ გთავაზობთ მიმართვის ტექსტს.

საქართველოს სპორტული სამყაროს
მიმართვა
საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისადმი

ბატონო ედუარდ!

საქართველოს სპორტული სამყარო გამოხატავს რა თქვენდამი ღრმა პატივისცემას, მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ერთსულოვნად დაუჭერს მხარს თქვენს კანდიდატურას, რითაც ქვეყნის გადასარჩენად თქვენს მიერ აღებული კურსის განხორციელებაში დავადასტურებთ ჩვენს თანადგომას. ყველა თქვენს ამომრჩეველს და ჩვენც გვწამს, რომ რეფორმებს ბოლომდე მიიყვანთ. ამასთან, სხვებთან ერთად, ჩვენც სერიოზულად გვაშფოთებს ის განუკითხაობა და შემწყნარებლობა, რაც განსაკუთრებით სუფევს ქვეყნის ეკონომიკაში. ეკონომიკური ბლოკის უსუსურობა ქართული სპორტის მომაკვდინებელ ფაქტორადაც იქცა. ხალხი და ქვეყანა ხედავს, რომ ეკონომიკის მართვაში დასაქმებული ადამიანები ქვეყნის ინტერესზე მაღლა აყენებენ პირად კეთილდღეობას. კატეგორიულად მიგვაჩნია ამ სისტემის პატიოსანი, კომპეტენტური სპეციალისტებით დროული გაჯანსაღება, შესაბამის კანონებში სასწრაფო ცვლილებების შეტანა, კორუფციასთან ბრძოლაში სიტყვიდან საქმეზე გადასვლა. ამგვარი ცვლილებები მიგვაჩნია ქართული სპორტის, მოსახლეობის გაჯანსაღების, ჰარმონიულად განვითარებულ ქვეყნის დამცველთა აღზრდის პრობლემების გადაჭრის წინაპირობად.

სამშობლო და, ყველაფერი, რაც ეროვნული და ძვირფასეულია, მათ შორის სპორტი, ყველამ ერთად უნდა გადავარჩინოთ. დღეს ქართული სპორტი და მისი უმდიდრესი ტრადიციები გარდუვალი კატასტროფის წინაშეა. ასეთ ვითარებაში, ბატონო პრეზიდენტო, გადაუდებლად ვთვლით საქართველოს სპორტული სამყაროს წარმომადგენელთა ჯგუფთან თქვენს პირად შეხვედრას. იმედია, თანხმობას მივიღებთ.

მიმართვა მიღებულია საქართველოს სპორტული სამყაროს წარმომადგენლობით შეკრებაზე.

კახი ასათიანი – საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე,
ჯანსუღ ბაგრატიონი – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი,
მურთაზ მნათობიშვილი – საქართველოს ეროვნული არაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი,
დავით გობეჯიშვილი – ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი,
ვალერი ჩოლარია – ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი,
ვლადიმერ გოიაშვილი – სპორტის წყალთა სახეობების ფედერაციის პრეზიდენტი,
ბიჩი ბოსტოღანაშვილი – სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციის გენ. მდივანი,
რამაზ გურგენიძე – ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი,
ზურაბ აზმაიფარაშვილი – ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი,
თამაზ მდინარაძე – მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი,
ანზორ მარტყოფლიშვილი – ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი,
ზურაბ ფალიანი – კრივის ფედერაციის პრეზიდენტი,
ანზორ ღონღაძე – ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი,
მორის სახვაძე – ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი,
დუდუ დადიანი – საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი,
ლერი ახმეტელი – სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი,
ზურაბ ძაცარავა – ჩოგბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი;
ვახტანგ მუსელიანი – მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი,
გოჩა ჯავახია – კიკბოქსინგის ფედერაციის პრეზიდენტი,
ოლეგ იაძე – ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი სამბოში,
სიმონ მაისურაძე – ვეტერანი ფალავანი ქართულ ჭიდაობაში,
ნინო სალუქვაძე, რომან რურუა, ვახტანგ ბალავაძე, გურამ სადარაძე, შოთა ხაბარელი, ზარბეგ ბერიაშვილი, ბელა კეტაშვილი, შოთა ჭველიაშვილი, ოთარ ძორძია, ნოდარ ჯორჯიკია, გურამ ბიგანიშვილი – ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები;
დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ილია დათუნაშვილი, ვლადიმერ ელოშვილი – ვეტერანი ფეხბურთელები.

მთავარია ფეხბურთი, ცოლის შერთვას ყოველთვის მოესწრებით

ასე მოძღვრავს თავის შეგირდებს რევაზ ძოძუაშვილი

გასულ სამშაბათს, ჩვენი საფეხბურთო ეროვნული ნაკრების თავკაცებიც ესწრებოდნენ სპორტის დეპარტამენტში ვეტერან სპორტსმენთა, ფედერაციების წარმომადგენელთა და ჟურნალისტთა შეხვედრას, რომელიც ქართული სპორტის კატასტროფული ვითარების ერთხელ კიდევ დაფიქსირებას მიუძღვნა ხსენებული დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ. ამ შეხვედრაზე მხარდამჭერი მოსაზრება დავით ყიფიანმაც გამოთქვა, რევაზ ძოძუაშვილმა კი შემდეგ სფფ-ში გადაინაცვლა და პრესკონფერენცია გამართა. ერთი დღით ადრე მწვრთნელთა საბჭო შეიკრიბა. ფაქტობრივად ეს ორივე თავყრილობა ერთ უმთავრეს საკითხს — ეროვნული ნაკრების პრობლემებს განიხილავდა. ვინაიდან ნაკრები ჯერ საერთოდ არ არსებობს, ეს სიტყვა პირობითია და ახლა ყველაფერი კეთდება, რათა მან თავისი შინაარსი და დატვირთვა შეიძინოს.

რევაზ ძოძუაშვილს და დავით ყიფიანს, როგორც ჩანს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მკაცრად გაატარონ ნაკრებში ის პრინციპები, რასაც პროფესიული ფეხბურთი მოითხოვს, თანაც პროფესიონალიზმი უმაღლეს ხარისხში. ამგვარი მიდგომა კი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ფეხბურთელი ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში მზად უნდა იყოს, რათა სრულად გაიღოს შესაძლებლობების მაქსიმუმი, გვარსახელი, თუნდაც იგი მქუხარე იყოს, და საერთოდ, სხვა ყველაფერი, ფეხბურთელს არანაირ შეღავათს არ მისცემს.

იხ. მე-2 გვ.

კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

„მაკაბი“ — ისევ გამარჯვება!

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, თბილისის „მაკაბი“ ისრაელში მიემგზავრება ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად და 30 იანვარს დაგეგმილი მისი შეხვედრა გორელ სტუდენტებთან, გუნდის ხელმძღვანელობის თხოვნით, 20 იანვარს გადმოიტანეს. გუშინ გამართული ეს შეხვედრა თბილისელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 84:72 დასრულდა. ისრაელში გამგზავრებამდე, 22 იანვარს, „მაკაბი“ მატჩს გამართავს „აზოტის“ წინააღმდეგ.

პაატა პაპუაშვილი

* * *

ჟაკლინ ფრეზერი ლეილა ალის კვალს გაჰყვა

„ლელომ“ რამდენჯერმე გაუწყათ პროფესიული სპორტის სამყაროში ქალთა კრივის მოძალებაზე, კერძოდ, მუჰამედ ალის ქალიშვილის განზრახვაზე მოიპოვოს პროფესიულ კრივში საპატიო ტიტულები. ალი, მართალია, შეეწინააღმდეგა ქალიშვილის გადაწყვეტილებას, მაგრამ, ამაოდ. ახლა გავრცელდა ცნობა, რომ ალის ასულ ლეილას გზას გაჰყვა ჯო ფრეზერის ქალიშვილიც ჟაკლინ ფრეზერი, ალისგან განსხვავებით, ფრეზერი შვილს აქეზებს კიდევ და თავადაც ავარჯიშებს, რასაც ფოტოზეც ხედავთ. ჟაკლინი გათხოვილია, მეუღლის გვარია ლაიდი. სულ მალე ჟაკლინ ფრეზერ-ლაიდი პირველ ორთაბრძოლას ჩაატარებს, შემდეგ კი ლეილა ალის გამოიწვევს რინგზე. უცხოეთის სააგენტოების ცნობით, XXI საუკუნის დასაწყისში ქალთა პროფესიული კრივი მსოფლიოს ბევრ ქვეყანას მოიცავს და აქაც მილიონებზე იქნება ლაპარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიკლ ჯორდანი უკვე დიდი კალათბურთის ახალ ამპლუაშია

მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული 36 წლის მაიკლ ჯორდანი კალათბურთს დაუბრუნდა. ამის თაობაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ მისი დიდი სპორტიდან წასვლის დღეს, 13 იანვარს დაიწყო და ზუსტად ერთი წლის შემდეგ ასრულდა კიდეც. „ვაშინგტონის“ პრეზიდენტმა ეიფ ქოლინმა დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯორდანი ამიერიდან მის გუნდში საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტის ფუნქციას შეასრულებს. რაც სელექციასა და საკადრო პოლიტიკას გულისხმობს.

ჯორდანმა და ქოლინმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ მათი მიზანი გუნდის ჩემპიონობაა. აღსანიშნავია ისიც, რომ მაიკლს აქამდე გადაწყვეტილი ჰქონდა შეეძინა მშობლიური კლუბის — ჩრდ. კაროლინას „შარლოტის“ აქციები, მაგრამ ეს გარიგება ჩაიშალა.

თუ „მფრინავი მაიკლი“ პრეზიდენტის პოსტზეც ისევე გაირჯება, როგორც ერთ დროს მოედანზე, სრულებით არ იქნება გასაკვირი, რომ მან დანაპირები შეასრულოს. შეგახსენებთ, რომ „ვაშინგტონი“ ამჟამად რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერთაგანია.

პაატა პაპუაშვილი

თანამეგობრობაზე დემეტრაძეს ვერ ვიხილავთ

ხვალ, 22 იანვარს მოსკოვში დაიწყება ტრადიციული ტურნირი ფეხბურთში დსთ-ს თასზე. ჩვენი დინამოელები დღეს გაემგზავრებიან რუსეთის დედაქალაქს, ხოლო კიეველი თანაკლუბელები მხოლოდ სარეზერვო შემადგენლობით იასპარეზებენ. ასე რომ, გიორგი დემეტრაძის, ასე ვთქვათ, საქმეში ნახვა ახალ კლუბში გადაიდო. ვალერი ლობანოვსკი გუნდის საუკეთესო ფეხბურთელებს სპეციალური პროგრამით ამზადებს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებისთვის, რომელიც 29 თებერვალს განახლდება. ნაღდი კიევის „დინამო“ 23 იანვარს კვიპროსში გაემგზავრება შეკრებაზე, სადაც, რა თქმა უნდა, გიორგი დემეტრაძესა და კახი კალაძესაც იახლებს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციას

გაზეთ „ლელოს“ მიმდინარე წლის 7-10 იანვარის (№2) ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია ვეტერან ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონებსა და პრიზიორებისათვის ოლიმპიური პენსიის დანიშვნის თაობაზე, სადაც აგრეთვე მოხსენიებული იყო საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები. ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად მიგვაჩნია განვმარტოთ, რომ ოლიმპიური პენსია, გამონაკლისის სახით, დაინიშნა მხოლოდ ქალბატონ ***ნონა გაფრინდაშვილს*** ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, სოოკ-ის ყოფ. პრეზიდენტს და ამჟამად საპატიო პრეზიდენტს.

სოოკ-ის პრეს-სამსახური

ზურაბ აზმაიფარაშვილს თამაზ გიორგაძე შეცვლის?

„ლელოს“ მკითხველებმა იციან, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭომ, ამას წინათ, განიხილა დეპარტამენტის თავმჯდომარის კახი ასათიანის სახელზე გაგზავნილი საპროტესტო წერილი, რომელსაც ხელს აწერდა ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალების ერთი ჯგუფი. მაშინ ჭადრაკის ფედერაციას რჩევა მიეცა ჩაატაროს რიგგარეშე ყრილობა და განიხილოს წერილში მოყვანილი პრობლემები. ახლა ეს დრო მოვიდა და, დღეს, 21 იანვარს, როგორც ეს საბჭომ გადაწყვიტა, ჩატარდება ფედერაციის სხდომა რიგგარეშე ყრილობის მომზადების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით.

როგორც „ლელოსთვის“ ცნობილი გახდა, ფედერაციის პრეზიდიუმის 15 წევრიდან 13 მომხრეა ჩატარდეს ყრილობა. მოიაზრება ფედერაციის მომავალი პრეზიდენტის კანდიდატურაც – დიპლომატი თამაზ გიორგაძე. თუ ასეთი ცვლილება მოხდა, ზურაბ აზმაიფარაშვილმა შეიძლება გადაინაცვლოს ბათუმში, სადაც შავი ზღვის ქვეყნების რეგიონული საჭადრაკო ორგანიზაციის ოფისია. როგორც ცნობილია, ეს ორგანიზაცია ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა ბათუმში ევროპის საჭადრაკო გუნდური ჩემპიონატის დღეებში, ზურაბ აზმაიფარაშვილი კი მის თავკაცად აირჩიეს.

სპორტი – ყველასათვის!

ეს მონაკოს პრინცი ალბერია

ლარის ოფიციალური კურსი:
1 აშშ დოლარი –2.0150 ლარი.

მთავარია ფეხბურთი, ცოლის შერთვას ყოველთვის მოესწრებით

ასე მოძღვრავს თავის შეგირდებს რევაზ ძოძუაშვილი

(პირველი გვერდიდან)

ეს კარგად უნდა იცოდეს ნაკრების ყველა კანდიდატმა. როგორც რევაზ ძოძუაშვილმა თქვა, ნაკრების ხელმძღვანელობა მწვრთნელთა საბჭოს მიერ სელექციით შერჩეულ კანდიდატებს ნდობით ეკიდება, მაგრამ არც „ქუჩიდან მოწვეულებს“ აუნთებენ მწვანე შუქს ნაკრებში. არ იზღუდება რაოდენობა, რადგან ბოლოს და ბოლოს რაოდენობიდან ხარისხი წარმოჩინდება, თუმცა, მთავარი მაინც ისაა, როგორი იქნება ეს ხარისხი. მწვრთნელთა საბჭო გამოდის ინიციატივით, რომ თებერვალში, კვიპროსში დაგეგმილ ტურნირზე ჩვენი ნაკრები წარდგეს ულეგიონერებოდ, რაც ახალწვეულებს თავგამოჩენის, ხოლო მწვრთნელებს მათი შეფასების ობიექტურ შესაძლებლობას მისცემს. მით უფრო, რომ მიღებული შეტყობინებით ლევან კობიაშვილი, დემეტრაძე, კალაძე და გახოკიძე კვიპროსში ვერ შეუერთდებიან ნაკრებს. ამასთან, რ. ძოძუაშვილმა ისიც გაიხსენა, რომ ბოსკამპმა ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელებს მისცა გასაქანი, რისთვისაც ეს კაცი ნამდვილად იმსახურებს პატივისცემას. ეტყობა მწვრთნელთა საბჭოც ამ გზას ადგას და ნაკრების მწვრთნელებისთვის ახალი და შედარებით ახალი სახელებიც შეუთავაზებია. აი ისინიც: მეკარეები — ლომაია, ჭანტურია, დევაძე; მცველები — საჯაია, ქოქაშვილი, თ. კობიაშვილი, აბრამიძე (ან ნემსაძე); ნახევარმცველები — ჯონი შალამბერიძე, კვეტენაძე, ხაჭაპურიძე, სახვაძე, გიზო ჯელაძე; თავდასხმა — აშვეთია, ძოძუაშვილი. ძირითად ბირთვთან მათმა „მორგებამ“, ალბათ საიმედო ნაკრები უნდა შექმნას. ისე, ძოძუაშვილიც და ყიფიანიც თურმე განსაკუთრებით მომთხოვნი იქნებიან „ლოკომოტივისა“ და „ტორპედოს“ ფეხბურთელების მიმართ, რათა მწვრთნელებს თავიანთი შეგირდებისადმი მიკერძოება არავინ დასწამოს. ძოძუაშვილმა იქვე ლოკომოტიველი ბალაშვილიც ახსენა, რომელიც ნაკრების ყოფილი წევრია, და თქვა, რომ ეს ფეხბურთელი დისკვალიფიცირებულია და ახლა სფფ-ზეა დამოკიდებული მისცემს თუ არა თამაშის უფლებას. როგორც სფფ-ს პრესატაშემ ჩაჩუკა კვარაცხელიამ განმარტა, გიორგი ბალაშვილის და ლევან მიქაძის სასჯელის შემსუბუქებას, სფფ არ აპირებს.

ძოძუაშვილმა ყურადღება გაამახვილა თემურ ქეცბაიაზე და თქვა, რომ თუ თემური დღეს თავის კლუბში ძირითად შემადგენლობაში არ თამაშობს, ეს სულაც არ იძლევა ნაკრებში მისი არმოწვევის საბაბს. ის მაინც ყველაზე ძლიერ ფეხბურთელად რჩება ეროვნულ ნაკრებში და სხვა ფეხბურთელებს ბევრი ოფლისღვრა მოუწევთ. მის სათამაშო დონემდე რომ ამაღლდნენ. რაც შეეხება ვარსკვლავომანიით შეპყრობილ ფეხბურთელებს, მათ ნაკრებში არანაირი გასაქანი არ ექნებათ, რადგან „ჯანსაღი მსხლების ყუთში ერთი დამპალი ნაყოფის გარევაც კი ყველას დაალპობს“. ეტყობა ნაკრების თავკაცები ამით სერიოზულ გაფრთხილებას აძლევენ ფეხბურთელებს და მიტევების იმედი არავის უნდა ჰქონდეს. ძოძუაშვილმა კიდევ ერთხელ გაიხსენა, რომ შეუცვლელი ფეხბურთელები არ არიან. მან ცალკეულ ფეხბურთელზე საუბრისგან თავი შეიკავა, ცხადია, მათი ქებაც მოუწევდა და შექებამ იქნებ პვნოსო კიდეც ზოგიერთს. აი ნაკრების კაპიტნის ფუნქციაზე და მოვალეობაზე კი დაწვრილებით ილაპარაკა. კლასიკური გაგებით, კაპიტანი მართლაც გამორჩეული ფიგურაა, „მასში კარგად უნდა იყოს შეხამებული ორგანიზატორ-დირიჟორის შესაძლებლობები, თანაგუნდელებისთვის უნდა წარმოადგენდეს ავტორიტეტს, სტიმულს აძლევდეს როგორც გუნდს, ისე თითოეულ ფეხბურთელს“ — ასე თვლის რ. ძოძუაშვილი.

რ. ძოძუაშვილი ფეხბურთელებისგან არ მოითხოვს შაბლონს თამაშში, წინააღმდეგია ვიწრო სპეციალიზაციის, „რა მნიშვნელობა აქვს გუნდის სათამაშო სისტემას, ვთქვათ, 4-5-1 თუ 4-4-2, ფეხბურთელი ვალდებულია ჩემი მითითებები შეასრულოს“.

მწვრთნელს ჟურნალისტებისთვის არც ის დაუმალავს, რომ ფეხბურთელებისგან უმკაცრესი რეჟიმის დაცვას ითხოვს და ეს ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. იქვე კი, აი ესეც დასძინა: „მოგეხსენებათ, მე ცოლის შერთვასაც ვუკრძალავ მოთამაშეებს გარკვეულ ასაკში და გარკვეულ ეტაპზე“. უარყოფით მაგალითად კი როლანდოს და როლანდინიოს ქორწინება მოიტანა...

ც. ბაქრაძე

ორიენტირი • სიდნეი-2000

როგორც იქნა გადაწყდა...

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები გუშინ იტალიაში გაემგზავრნენ სიდნეიში ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირზე.

ჩვენმა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ქვეყანა შესძრეს, რათა საქართველოს „კლასიკოსთა“ რჩეულ სპორტსმენებს მონაწილეობა მიეღოთ წინასაოლიმპიადო სალიცენზიო ტურნირში. წუხელ ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა გვაცნობა, რომ სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანსულ ბაგრატიონმა შეძლო მიეღწია ფალავნების იტალიაში მივლინების ხარჯების მიღებისათვის და 5 ათლეტი გუშინ გაემგზავრა იტალიაში სალიცენზიო შეჯიბრებაზე უფროსი მწვრთნელის ბეგი დარჩიას ხელმძღვანელობით. აი, ისინიც: გარდაბნელი კობა გულიაშვილი (58 კგ), სამტრედიელი აკაკი ჩაჩუა (63), ქუთაისელი გიორგი ჯინჭველაშვილი (69), თერჯოლელი მირიან გიორგაძე (მძიმე), აჭარამ დააფინანსა თავისი წარმომადგენელი მუხრან ვახტანგაძე (85).

იმედი თავისუფალი სტილით მოჭიდავეებსაც გაუჩნდათ

ომზარ შოშიტაშვილმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეების სალიცენზიო შეჯიბრებაზე გამგზავრების დამაიმედებელი ცნობაც მოგვაწოდა. ეს ასპარეზობა გაიმართება მინსკში ამ თვის ბოლოს. ახლა ყველაფერი კეთდება, რათა ჩვენი მოჭიდავეები გამოვიდნენ ამ ტურნირში და იბრძოლონ სიდნეის საგზურისთვის. წამსვლელთა ვინაობაც ცნობილია: გოჩა კირკიტაძე (ქუთაისი, 54 კგ), ოთარ თუშიშვილი (58), დავით პოღოსიანი (63, ორივე – გორი), ალექსანდრე მოდებაძე (თელავი, მძიმე). უფროსი მწვრთნელია ზაზა თურმანიძე.

„ლელო“ – „ბუმათე“.

ხსოვნა

შეუმშრალი ცრემლი

მამუკა კურდღელაშვილი და ივანე გამხიტაშვილი (მარჯვნივ) გასული წლის ნოემბერში „ლელოს“ რედაქციას სტუმრობდნენ.

ეს ტრაგედია ამ 40 დღის წინათ მოხდა. ავტოკატასტროფამ შეიწირა სრულიად უდანაშაულო, 26 წლის ახალგაზრდის, მსოფლიოში სახელგანთქმული სამბოს ჭეშმარიტი ოსტატის, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების, მრავალ საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულის და პრიზიორის ივანე გამხიტაშვილის სიცოცხლე. ეს თავზარდამცემი ამბავი ტრაგიკული იყო არა მხოლოდ სპორტსმენის ოჯახის და ახლობლებისთვის, არამედ მთელი საქართველოს და არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სპორტის სამყაროსთვის. მისი დაკრძალვის დღეს ვანოს სოფელ სამთავისს ეწვივნენ მისი მეგობრები და მეტოქეები დსთ-ს ქვეყნებიდან. აი, რა თქვა გამოსათხოვარ სიტყვაში სამბოს მსოფლიო ცენტრად აღიარებულ ქალაქ კსტოვოდან ჩამოსულმა სახელგანთქმულმა ფალავანმა სერგეი ლაპოვოკმა: „მთელი კსტოვა შეძრა ივანე გამხიტაშვილის მოულოდნელმა დაღუპვამ. მას ჩვენს ქალაქში იცნობდნენ არა მხოლოდ მოჭიდავეები და მწვრთნელები, არამედ ყველა, ჩემი თანაქალაქელი. როცა ქალაქში სასეირნოდ გავიდოდით, ყველა ვინც მე მიცნობდა, ვანოსაც იცნობდა, გულთბილად ესალმებოდა. ვანო განსაკუთრებული მეტოქე და პიროვნება იყო. ყოფილა შემთხვევა, როცა მსაჯებს ჩემს სასარგებლოდ გამოუტანიათ გადაწყვეტილება, ვანო მოსულა, ხელი ჩამოურთმევია და ქართულად გადავუკოცნივარ, ის ჭეშმარიტი რაინდი იყო... სერგეი ლაპოვოკმა თან ჩამოიტანა მსოფლიოს თასი, რომელიც ვანოსთან უკანასკნელ შეხვედრაში მას მიაკუთვნეს. ახლა ეს თასი ვანოს მონაგარს შეემატა წარწერით: „ნამდვილ მეგობარს და ღირსეულ მეტოქეს სერგეი ლაპოვოკისაგან“. „ეს თასი შენ დაიმსახურე, შენ გეკუთვნისო“ – მიმართა მეგობარს უკანასკნელ გზაზე გაცილებისას. ზელიმხან მამედოვი: „მსოფლიოს სამბოს სამყარომ უდიდესი დანაკლისი განიცადა. სამბოს 60 წლის ისტორიაში ცოტას თუ რგებია ისეთი წარმატება, როგორიც ვანო გამხიტაშვილს ხვდა. მან თავისებური რეკორდი დაამყარა – 9 წლის განმავლობაში არც მსოფლიო და არც ევროპის სარბიელიდან უმედლოდ არ დაბრუნებულა. სამბოს მსოფლიო ფედერაციის და როგორც აზერბაიჯანელი, ჩემი ხალხისა და ფედერაციის სახელით ქედს ვიხრი ამ უბრწყინვალესი ფალავნის წინაშე.“

ახალ წელს თავისი უსაყვარლესი რაინდის, ივანე გამხიტაშვილის გარეშე შეხვდა სამთავისი. ახალ წელს ამ სოფლის ყველა ოჯახში მისი შესანდობარი დაილია.

აჭარლები იტალიაში მოემზადებიან

ბათუმის „დინამო“, რომელიც XI ეროვნულ ჩემპიონატში ჯერჯერობით მეოთხე ადგილზეა, ტრადიციულად დიდი ამბიციებითაა განწყობილი – კლუბის ხელმძღვანელობა გადაჭრით აცხადებს, რომ ზღვისპირელები ამ სეზონშიც მხოლოდ ჩემპიონობისთვის და თასის მოპოვებისთვის იბრძოლებენ, რის საფუძვლადაც გუნდის სათანადო პოტენციალს მიიჩნევენ. ჰოდა, ამბიციური ბათუმის „დინამო“ სეზონის განახლებამდე გასვლით შეკრებაზე გაემგზავრება – 26 იანვარს გუნდი იტალიისკენ აიღებს გეზს და პერუჯასთან ახლოს მდებარე დაბა ნორჩაში დაბანაკდება. შეკრება სამ კვირას გასტანს და პარალელურად ბათუმელები ჩაებმებიან ტურნირშიც, რომელშიც ოცი გუნდი იასპარეზებს. ისინი ხუთ ჯგუფად არიან დაყოფილნი და თითოეულიდან ორი საუკეთესო გუნდი მომდევნო ეტაპზე გააგრძელებს ბრძოლას. ბათუმელთა ჯგუფში მოხვდნენ რუმინული „სტიაუა“ და „რეშიცა“, აგრეთვე მაკედონიური „სკოპიე“.

? შეკითხვა „ლელოს“

შეკითხვა: ძალიან მაინტერესებს რას ნიშნავს სიტყვა „ბასკო“ და რატომ ჰქვია იგი ბათუმის ვაჟ კალათბურთელთა გუნდს, რომელიც ასე ხმაურით შემოვიდა ჩვენს საკალათბურთო სამყაროში?

მერაბ ხვედელიძე, საჩხერე

პასუხი: „ბასკო“ ჩვენი აზრით, არის აბრევიატურა, რომელიც თავის სახელად შეურჩევია ბათუმის ერთ-ერთ ფირმას. ეს ფირმა ბათუმის ვაჟ კალათბურთელთა გუნდის დამფინანსებელია.

დღეს „ლაგუნა- ვერეზე“

„ლაგუნა-ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსის სააქტო დარბაზში დღეს, 21 იანვარს, 17 საათზე გაიმართება სპორტის საწყლოსნო სახეობების სხდომა, რომელზედაც მიწვეულნი არიან მასმედიის წარმომადგენლები. დღის წესრიგშია: 1. ფედერაციის ანგარიში, 2. ქვეყანაში საცურაო აუზების მდგომარეობა, 3. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა.

ფედერაციის პრეზიდიუმი

თბილისის პირველობა საქართველოს ჩემპიონატის წინ

ჭადრაკის სასახლემ ამ დღეებში კიდევ ერთ შეჯიბრებას უმასპინძლა — გაიმართა თბილისის პირველობა. ტურნირში 86 მონაწილემ მოიყარა თავი. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა და საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. ვაჟთა შორის პირველი ადგილი მინიმალური უპირატესობით ოთარ ჯირკვალიშვილმა დაიკავა (7 ქულა). მას ნახევარი ქულით ჩამორჩა აკაკი შარაშენიძე, ხოლო მესამე ადგილზე ექვსი ქულით მერაბ გაგუნაშვილი გავიდა.

ასევე დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა ქალთა შეჯიბრებამაც. აქ პირველი ადგილი არავის დაუთმო სოფიო გვეტაძემ — 6 ქულა, მეორე და მესამე ადგილები კი შესაბამისად 5,5 და 5 ქულით ლელა ჯავახიშვილმა და ლილი ცალუღელაშვილმა დაიკავეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზებენ.

კაატა კაკუაშვილი

ფოტო «ლელოს» არქივიდან



თბილისში, კიროვის სახელობის პარკი, 40-50-იან წლებში, კალათბურთის მექად იყო ცნობილი. აქ მუდამ უამრავი სპორტის გულშემატკივარი იკრიბებოდა. ფარს უტევს ოთარ ქორქია.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

● **ბირმინგემის** „ასტონ ვილას“ წამყვანმა თავდამსხმელმა დიონ დაბლინმა, რომელმაც გასულ სეზონებში ბევრი გოლი გაიტანა, კისრის მძიმე ტრავმა მიიღო. დასაწყისში ფიქრობდნენ, რომ იგი 3 თვეს ვერ ითამაშებდა. საქმე კი უფრო რთულად ყოფილა. ახლა ექიმები აცხადებენ, რომ დაბლინი ამ სეზონში ვერ დაბრუნდება მწყობრში.

● **როგორც** უკრაინის ნაკრების ყოფილმა ხელმძღვანელმა იოჟეფ საბომ განაცხადა, იგი საერთოდ ამთავრებს სამწვრთნელო კარიერას და ამიერიდან მხოლოდ ადმინისტრაციული საქმიანობით იქნება დაკავებული.

● **მადრიდის** „რეალი“, რომელიც ესპანეთის პირველობაზე სატურნირო ცხრილში მისთვის უჩვეულო მეორე ნახევარშია, გაფაციცებით ეძებს მწვრთნელს. უკვე დასახელდა არაერთი კანდიდატურა.

„რეალის“ მწვრთნელობა კლუბის ყოფილმა მოთამაშემ, განთქმულმა მექსიკელმა თავდამსხმელმა უგო სანჩესმაც ისურვა, თუმცა, რა თქმა უნდა, მარტო სურვილი...

● **გერმანულ** მაღაზიებში აიკრძალა დორტმუნდის „ბორუსიის“ მაისურების გაყიდვა. საქმე ის არის, რომ ნაჭერში აღმოაჩინეს მაღალტოქსიკური ქიმიური საწამლავის კვალი, რომელიც ორგანიზმის ჰორმონალური სისტემის დაშლას იწვევს.

● **ლატვიელ** იმანტს ბლეიდერისს თამაშის ნება არ დართეს ინგლისურ „საუთჰემპტონში“. მას ეროვნულ ნაკრებში თამაშების სათანადო რაოდენობა არა აქვს.

„საუთჰემპტონმა“, რომელმაც ბლეიდერისი მიიწვია, გადაწყვიტა გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, რათა ლატვიელმა თამაშის უფლება მიიღოს.

● **ის** ამბავი, რომ განთქმული რობერტო ბაჯო სალსალამათადაა და მაინც ამდენი ხნის განმავლობაში არ თამაშობს „ინტერში“, ცხადია, საყოველთაო გაკვირვებას იწვევს. მისი შეძენით, ცხადია, ბევრი ვინმე დაინტერესდა. „ინტერის“ ხელმძღვანელობამ არ მოისურვა მისი „ბოლონიისათვის“ დათმობა (ამ კლუბში რობერტო ადრე თამაშობდა და თანაც დიდი წარმატებით).

ახლა მარსელის „ოლიმპიკმა“ მოინდომა ბაჯოს ყიდვა და უკვე დაიწყო „ინტერთან“ მოლაპარაკება.

რამდენ ხანს გაძლებს ო'ლირის „საბავშვო ბაღი“?

ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა

ინგლისის პირველობის მეორე წრე დაიწყო. მიმომხილველები აჯამებენ ამ მეტად ხანგრძლივი ასპარეზობის პირველი ნახევრის შედეგებს, ლაპარაკობენ ჩემპიონობის პრეტენდენტებზე, აღნიშნავენ შეჯიბრების თავისებურებებს.

პირველი წრის „გუნდ-აღმოჩენად“ ჩაითვალა ლიგის დებიუტანტი „სანდერლენდი“. არავინ მოელოდა, რომ კლუბი, რომლის ამოცანა თითქოს უმაღლეს დივიზიონში დარჩენა უნდა ყოფილიყო, მთელი ამდენი ხნის განმავლობაში ლიდერთა ჯგუფში იქნებოდა და ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეიქმნებოდა, რომ იგი ჩემპიონთა ლიგას უმიზნებს. ახლა „სანდერლენდი“ თანდათან თმობს პოზიციებს, რაც მოკლე „სკამით“ უნდა აიხსნას, თუმცა, ექსპერტების აზრით უეფას თასზე მონაწილეობის უფლებას მაინც მოიპოვებს. დიდი მოულოდნელობაა ისიც, რომ უმაღლეს ეშელონში პირველად მოთამაშე, 26 წლის სანდერლენდელ კევინ ფილიპსს გოლი გოლზე გააქვს (19 ბურთი 19 მატჩში!), რასაც შედეგად მოჰყვა მისი გამოძახება ეროვნულ ნაკრებში.

აღნიშნავენ „ლიდს იუნაიტედის“ მწვრთნელ დევიდ ო'ლირისა და ამავე კლუბის გოლეადორ მაიკლ ბრიჯესს. ახალგაზრდა ირლანდიელმა მწვრთნელმა ასეთივე ახალგაზრდული, ენერგიული კოლექტივი შექმნა, რომელიც, ბევრისათვის მოულოდნელად, რეალურ კონკურენციას უქმნის მთლიანად ვარსკვლავებისაგან დაკომპლექტებულ „მანჩესტერ იუნაიტედს“. ინგლისის პირველობის გარდა „ლიდსი“ ახლა წარმატებით გამოდის უეფას თასზე, მომავალი სეზონიდან კი ჩემპიონთა ლიგაში კარგი შედეგით გამოსვლის იმედი აქვს. ბრიჯესი ახლა საუკეთესო სნაიპერების ჯგუფშია, შარშან კი, როცა „სანდერლენდში“ გამოდიოდა, იშვიათად თამაშობდა ძირითად შემადგენლობაში! ახლა ბრიჯესს უკვე ნაკრებში გამოსვლაზეც აქვს პრეტენზია.

მიმომხილველები იმასაც გამოჰყოფენ, რომ 1999 წლის ყველაზე უარეს მწვრთნელად წოდებულმა რუუდ გულიტმა თითქმის მთლიანად დააქცია ჩინებული „ნიუკასლ იუნაიტედი“, მაგრამ საქმეს უშველა მისმა შეცვლამ და განთქმული ბობი რობსონის მიწვევამ. თუ გულიტის ხელში „ნიუკასლს“ პრემიერ-ლიგის დატოვება ემუქრებოდა, ახლა ამოცანად უეფას თასზე მოხვედრას ისახავს. როგორც თემურ ქეცბაია ამბობს, ბობი რობსონმა გუნდს საინტერესოდ, შემტევი სტილით დააწყებინა თამაში.

ყველაზე დიდი იმედის გაცრუება ცნობილმა კრის სატონმა გამოიწვია, რომელშიც „ჩელსიმ“ 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა, მაგრამ სატონმა ახალ კლუბში იმდენად ულიმღამოდ დაიწყო თამაში, რომ ვერავითარი კონკურენცია ვერ გაუწია ვერც ტორე-ანდრე ფლოს და ვერც ჯანფრანკო ძოლას. ერთი სიტყვით, ისე გამოდის, რომ ამოდენა თანხად შეიძინეს კიდევ ერთი... სათადარიგო მოთამაშე. ძველ, გამოცდილ მოთამაშეებს შორის კი გამოჰყოფენ იტალიელ პაოლო დი კანიოს, რომელსაც ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედში“ ბევრი გოლიც გააქვს და „მწვავე“ გადაცემების ოსტატადაც ითვლება.

საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლთა შორის 7 კლუბია. ახლა 21 თამაშიდან 44 ქულით პირველ ადგილზეა „ლიდს იუნაიტედი“. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ო'ლირის „საბავშვო ბაღს“ ყველა შესაძლებლობა აქვს იბრძოლოს... მეორე ადგილისათვის, რადგან, ადრე თუ გვიან, ლიდერობას ხელთ იგდებს „მანჩესტერ იუნაიტედი“. იგი ახლაც (43 ქულა აქვს 19 თამაშიდან) პირველ ადგილზე იქნებოდა, რომ ბრაზილიაში საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრება არა, რომლისთვისაც ინგლისის თასზე მონაწილეობაზეც კი თქვა უარი. ასეა თუ ისე, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ყველა თვალსაზრისით მაღლა დგას „ლიდსზე“.

22 თამაშიდან 43 ქულით მესამე ადგილზეა ლონდონის „არსენალი“. გავიხსენოთ, რომ ბოლო სეზონების განმავლობაში ჩემპიონობისათვის სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ იბრძოდნენ. 1998 წელს ლონდონელებმა დუბლი შეასრულეს, შარშან მეორე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ სუპერთასი მოიპოვეს. არსენ ვენგერი, როგორც ყოველთვის, ახლაც ოპტიმისტურად არის განწყობილი. საინტერესოა, რომ ბოლო მატჩში „სანდერლენდთან“ ლონდონელებს არც ნვანკვო კანუ ჰყავდათ, არც განთქმული ჰოლანდიური დუეტი: დენის ბერჰკამპი და მარკ ოვერმარსი. ვითომც არაფერი! თავდასხმაში ითამაშეს დავორ შუკერმა და ტიერი ანრიმ, ამასთან, ხორვატმა ორი გოლი გაიტანა, ფრანგმა კი — ერთი: საერთო ანგარიში კი 4-1 იყო. როგორც არსენ ვენგერი აცხადებს, მას ბევრი დიდი ფეხბურთელი ჰყავს და თუ რომელიმე მათგანი ამა თუ იმ მიზეზით არ თამაშობს, ამას არ შეუძლია მატჩის შედეგზე დიდი გავლენის მოხდენა: ერთს არ გააქვს გოლი, მეორე გაიტანს! ისე კი, „არსენალს“, მწვრთნელის სიტყვებს რომ ამართლებს, უკვე 41 გოლი აქვს გატანილი და ამ თვალსაზრისით მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ თუ ჩამორჩება.

„ლივერპულს“ (40 ქულა) კარგა ხანია აღარ მოუპოვებია ისეთი წარმატებები, როგორიც ამ სახელოვან კლუბს ეკადრება. ახლა გუნდი გაახალგაზრდავდა, მოემატა ძალა და შესაბამისად ამბიციებიც. 38 ქულა აქვს „სანდერლენდს“, 36 — „ჩელსის“, რომლისგანაც გაცილებით უკეთესი შედეგი იყო მოსალოდნელი, თუმცა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის გამოსწორება. ლიდერთა ჯგუფზე საუბარი კი ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურით“ (35) უნდა დავასრულოთ. მიმომხილველთა აზრით, ამ განთქმულ კლუბს „რაღაც არ ყოფნის“. მას სათავეში უდგას ისეთი ცნობილი სპეციალისტი, როგორიც ჯორჯ გრემია. ყველა ხაზს ლიდერი ჰყავს: უოკერი, კემპბელი, ჟინოლა, ივერსენი. მაგრამ ძალიან ხშირად მოთამაშეები ისე გამოიყურებიან, თითქოს მობეზრდათ მძიმე სამუშაოს შესრულება, მინდორზე ინერტულად მოქმედებენ. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ ჟინოლა, რომელიც ყოველთვის საბრძოლოდაა განწყობილი, ცეცხლს ანთებს მინდორზე, მაგრამ პარტნიორებისაგან სათანადო მხარდაჭერა არა აქვს. ისე კი, გუნდის პოტენციური შესაძლებლობები დიდია.

სატურნირო ცხრილის შუაში განლაგებული კლუბებიდან „ნიუკასლ იუნაიტედი“ (27), როგორც უკვე ვთქვით, საინტერესო თამაშს უჩვენებს. თანდათან ავლენენ ნამდვილ შესაძლებლობებს თავდამსხმელები შირერი (რომელიც, ერთხანს გულიტის მწვრთნელობის დროს, თითქმის „ჩამოწერეს“) და ფერგიუსონი, იშვიათად თამაშობს ტრავმების გამო, მაგრამ ყოველთვის ღირსეულად გამოიყურება თემურ ქეცბაია, დიდ სამუშაოს ასრულებენ ნახევარმცველები სპეიდი და სოლანო. „ზურგიდან“, როგორც ფიქრობენ, ბობი რობსონის გუნდს რაიმე საფრთხე არ ემუქრება. ახლა საქმე ის არის, სადამდე წაიწევს იგი წინ. რაც შეეხება გიორგი ქინქლაძის კლუბ „დერბი ქაუნთს“ (22 ქულა), იგი აუტსაიდერთა ჯგუფის სიახლოვეს იმყოფება, თუმცა, ბოლო მოგებამ — 4-1, თანაც სტუმრად, მასზე უკეთეს მდგომარეობაში მყოფ „მიდლსბროსთან“ გუნდის გულშემატკივრებს იმედი ჩაუსახა.

რაც შეეხება აუტსაიდერებს, მათ შორის უკვე აშკარად გამოიკვეთა: „შეფილდი“ (13 ქულა) და „უოტფორდი“ (14). ნათელი არ არის, როგორ უნდა შეინარჩუნონ მათ ადგილი პრემიერ-ლიგაში, რადგან დანარჩენ „გაჭირვებულ“ გუნდებს გაცილებით უკეთესი ქულათა მარაგი აქვთ.

სნაიპერთა შორის 19 გოლით პირველ ადგილზეა ფილიპსი („სანდერლენდი“). 14 გოლი გაიტანა შირერმა („ნიუკასლი“), 13 — კოულმა („მანჩესტერ იუნაიტედი“), 11-11 — ბრიჯესმა („ლიდსი“) და იორკმა („მანჩესტერ იუნაიტედი“).

მომდევნო XXIII ტურში ალბათ უდიდეს ინტერესს იწვევს ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრა: „მანჩესტერ იუნაიტედი“ მიიღებს „არსენალს“! რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ექნება „სანდერლენდისა“ და „ლიდს იუნაიტედის“ შეხვედრასაც, რამაც უნდა იმოქმედოს ლიდერთა ჯგუფში ადგილების გადანაწილებაზე. „ლივერპული“ მიიღებს „მიდლსბროს“, „ლესტერ სიტი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედს“, „დერბი ქაუნთი“ — „კოვენტრი სიტის“, „ბრედფორდი“ — „უოტფორდს“, „ასტონ ვილა“ — „ჩელსის“, „საუთჰემპტონი“ — „ევერტონს“, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „შეფილდ უინსდეის“, ხოლო „უიმბლდონი“ — „ნიუკასლ იუნაიტედს“.

ბივი გამრეკელი

დიეგოს სალამი კუბას... ჩე გევარას პორტრეტით!

თბილისში ვერჩამობრძანებული, მერე ნირვანას ძიებაში უკვე მერამდენედ ჯანმრთელობაშერყეული დიეგო მარადონა ახლა „თავისუფლების კუნძულს“ ეწვია — ეგებ ჩემს დაკოკაინებულ ტვინსა და დანარჩენ სხეულს კარიბული ჰავა მოუხდესო. დიეგო კუბის სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ოლგინში სავარაუდოდ რამდენიმე თვეს შეყოვნდება. მარადონამ უკვე მოინახულა ფიდელ კასტრო, გამართა პრეს-კონფერენცია, ეჩვენა ჰავანელ ექიმებს და ოლგინისკენ ჰკრა ქუსლი.

...და კიდევ. ძირგამომპალი კაპიტალიზმის ანტაგონისტ ქვეყანაში ეს მარადონას მესამე სტუმრობაა და როცა დიეგომ მესამედ დადგა ფეხი „თავისუფლების კუნძულზე“, მაისურზე დიდად მოხატული თანამემამულის, ჩე გევარას პორტრეტით წარსდგა. ეს, აწ უკვე გარდაცვლილი არგენტინელი რევოლუციონერი ხომ ფიდელ კასტროს უახლოესი თანამებრძოლი გახლდათ.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ფეხბურთის ცოდნა მისი წესების ცოდნაცაა

250 და კიდევ რამდენიმე პასუხი ფეხბურთის წესებზე

პასუხები შეკითხვებზე შეიმუშავეს ფეხბურთის სპეციალისტებმა — სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტიდან. კომიტეტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ შემოთავაზებული კითხვა-პასუხი დაეხმარება არა მხოლოდ ფეხბურთის გულშემატკივრებს, არამედ სპეციალისტებს, მსაჯებს, მწვრთნელებს, საფეხბურთო მოედნების ხელმძღვანელებს და თვით ფეხბურთელებს.

75. თამაშის მსვლელობისას მსაჯი აღმოაჩენს, რომ ერთ-ერთი გუნდის შემადგენლობაში მოედანზე იმყოფება 12 მოთამაშე. მსაჯის გადაწყვეტილება?

— თუ ბურთი თამაშში იყო, მსაჯი ვალდებულია შეაჩეროს თამაში, ამასთან, ისარგებლოს უპირატესობის პრინციპით, აღმოაჩინოს ზედმეტი მოთამაშე, მისცეს მას გაფრთხილება, დაატოვებინოს მოედანი და განაახლოს თამაში. სადავო ბურთით იმ ადგილიდან, სადაც იყო ბურთი შეჩერების (თამაშის) მომენტში. თუ ბურთი არ იყო თამაშში, მონახოს ზედმეტი მოთამაშე, გააფრთხილოს, წინადადება მისცეს დატოვოს მინდორი და განაგრძოს თამაში არსებული წესების მიხედვით (გვერდითი ხაზიდან შემოგდება, საჯარიმო თავისუფალი, 11-მეტრიანი, კუთხური, კარიდან ან საწყისი დარტყმა).

76. შეუძლია თუ არა მსაჯს დაადოს პერსონალური სასჯელი მოთამაშეს, რომელიც დატოვებს მოედნის ფარგლებს შეგდებული გოლის აღსანიშნავად?

— მსაჯმა შეძლებისდაგვარად უნდა მოთოკოს მოთამაშის ემოციები გამოწვეული გოლის შეგდების აღსანიშნავად, მაგრამ თუ მოთამაშის საქციელი სცილდება ეთიკის ნორმებს, პერსონალური სასჯელისაგან თავი შეიკავოს.

77. აქვს თუ არა მოედნიდან გაძევებულ მოთამაშეს დაიკავოს ადგილი სათადარიგოთა სკამზე?

— არა აქვს. ამის უფლება არა აქვს მაშინაც კი, როდესაც ის სათამაშო ფორმას გამოიცვლის ყოველდღიურ ტანსაცმელზე.

78. როდის ითვლება სათადარიგო მოთამაშე შემოსულად თამაშში. იმ მომენტში, როდესაც ის შემოდის მოედანზე, თუ იმ დროს, როცა მსაჯი განაახლებს თამაშს?

— იმ მომენტში, როდესაც მოთამაშე მსაჯის თანხმობით შემოდის მოედანზე (თუმცა თამაში არ განახლებულა).

79. თამაშის დროს მოთამაშემ მიიღო ტრავმა. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ ექიმი აცნობებს მსაჯს, რომ ამ მოთამაშის მონაწილეობა საზიანოა ჯანმრთელობისათვის, აქვს თუ არა მსაჯს უფლება აუკრძალოს მოთამაშეს თამაშში მონაწილეობა?

— ეს გადაწყვეტილება შედის ექიმისა და იმ გუნდის ხელმძღვანელთა კომპეტენციაში, რომლის მოთამაშემ მიიღო ტრავმა.

80. მსაჯის შეურაცხყოფისათვის თამაშის ფაქტიურ დაწყებამდე მსაჯი უკრძალავს მოთამაშეს მიიღოს მონაწილეობა და ამის შესახებ აფრთხილებს გუნდის ხელმძღვანელობას. თამაშის მსვლელობისას გადის გოლი. მსაჯი აღმოაჩენს, რომ გოლის ავტორი მის მიერ არდაშვებული მოთამაშეა. მსაჯის გადაწყვეტილება?

— კარის აღება გაუქმდეს. აღნიშნული მოთამაშე გააძევოს მოედნიდან, გუნდს მიეცეს ამ მოთამაშის შეცვლის უფლება. თამაში განახლდეს სადავო ბურთით იმ ადგილიდან, სადაც უკანასკნელად შეეხო ბურთს ეს მოთამაშე.

81. სათადარიგო მოთამაშე დაუკითხავად შემოვიდა მოედანზე და როცა ის აპირებდა ბურთზე თამაშს, მოწინააღმდეგემ მას მუშტი გაარტყა. მსაჯის გადაწყვეტილება?

— ორივე მოთამაშე უნდა გააძევოს მოედნიდან და თამაში განახლდეს სადავო ბურთით, სადაც მოხდა ინციდენტი.

82. მეორე ტაიმის მეორე ნახევარში მსაჯი ნიშნავს 11-მეტრიან დარტყმას საჯარიმო მოედანში თავდამსხმელი გუნდის მოთამაშის მოცელვისათვის, მოთამაშემ მიიღო ტრავმა და დატოვა მოედანი. მისი გუნდი დარჩა ექვსი კაცის შემადგენლობით. თამაში უნდა შეწყდეს თუ შესრულდეს 11-მეტრიანი დარტყმა?

— შესრულდეს 11-მეტრიანი დარტყმა და თუ ტრავმირებული მოთამაშე არ დაბრუნდა მინდორზე თამაშის გასაგრძელებლად, შეწყდეს თამაში.

83. მეორე ნახევარში გუნდი, რომლის შემადგენლობაში შვიდი მოთამაშეა, ისჯება 11-მეტრიანი დარტყმით, თან ერთ მოთამაშეს მსაჯი აძევებს მოედნიდან, ასე რომ, გუნდში რჩება ექვსი მოთამაშე. მსაჯის გადაწყვეტილება?

— თამაში უნდა შეწყდეს. 11-მეტრიანი დარტყმა არ შედგება.

84. მოთამაშემ, რომელმაც მიიღო ტრავმა, მსაჯის დაუკითხავად დატოვა მინდორი, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ ასევე დაუკითხავად დაუბრუნდა მოედანს და შეაგდო გოლი. ითვლება თუ არა კარი აღებულად?

— კარი აღებულად არ ჩაითვლება, მოთამაშეს ეძლევა გაფრთხილება, თამაში განახლდება თავისუფალი დარტყმით მოწინააღმდეგე გუნდის სასარგებლოდ იმ ადგილიდან სადაც უკანასკნელად შეეხო ბურთს ეს მოთამაშე.

85. მსაჯმა გააძევა მეკარე და მისცა წინადადება დაუყოვნებლივ დაეტოვებინა მოედანი. მეკარე არ დაეთანხმა მსაჯს და გაემართა გვერდითი ხაზისაკენ შემცვლელი მეკარის მიმართულებით. შეიძლება თუ არა დაისაჯოს მეკარე დროის გაყვანისათვის?

— არა. მსაჯმა მეკარის შეცვლისათვის დაკარგული დრო უნდა დაუმატოს იმ ტაიმის დროს, როცა მოხდა ცვლილება.

86. შეცვლის მომენტში მიიღო რა მსაჯის თანხმობა მოედანზე შემოსვლამდე სათადარიგო მოთამაშემ დაუშვა არაცენზურული გამოთქმა. მსაჯის გადაწყვეტილება?

— დამრღვევი თამაშზე არ დაიშვება (გაძევება), მაგრამ მის მაგივრად შეიძლება შემოვიდეს სხვა სათადარიგო მოთამაშე და არა ძირითადის მოთამაშე, ვინაიდან გაძევებული იყო სათადარიგო მოთამაშე.

87. იგივე სიტუაციაში, მაგრამ უკვე მოედანზე შემოსულმა ჩაიდინა იგივე დანაშაული. მსაჯის გადაწყვეტილება?

— მოთამაშე უნდა გააძევონ შეცვლის უფლების გარეშე.

88. სათადარიგო მოთამაშემ მიიღო რა მსაჯის თანხმობა მოედანზე შემოსვლისა, მაგრამ მოედანზე არ შემოსულმა შეასრულა კუთხური დარტყმა და გაიტანა გოლი მოწინააღმდეგის კარში. ჩათვლის თუ არა მსაჯი კარის აღებას?

— არა, ვინაიდან სათადარიგო მოთამაშე მსაჯის ნებართვის შემდეგ უნდა შემოსულიყო მოედანზე და ამის შემდეგ ჰქონდა უფლება შეესრულებინა დარტყმა. მსაჯმა უნდა დანიშნოს განმეორებითი დარტყმა.

89. შეუძლია თუ არა იმავე მოთამაშეს შეასრულოს განმეორებითი დარტყმა?

— შეუძლია, თუ მსაჯის ნებართვით შეცვლა მოხდა წესების ფარგლებში.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №1-5

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის რეფერენდუმი

მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელები XX საუკუნეში

1. პელე (ბრაზილია) — 1705 ქულა. 2. იოჰან კრუიფი (ჰოლანდია) — 1303. 3. ფრანც ბეკენბაუერი (გერმანია) — 1228. 4. ალფრედო დი სტეფანო (არგენტინა, ესპანეთი) — 1215. 5. დიეგო მარადონა (არგენტინა) — 1214. 6. ფერენც პუშკაში (უნგრეთი, ესპანეთი) — 810. 7. მიშელ პლატინი (საფრანგეთი) — 722. 8. გარინჩა (ბრაზილია) — 624. 9. ეუსებიო (პორტუგალია) — 544. 10. ბობი ჩარლტონი (ინგლისი) — 508. 11. სტენლი მეტიუზი (ინგლისი) — 368. 12. მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია) — 315. 13. გერდ მიულერი (გერმანია) — 265. 14. ზიკო (ბრაზილია) — 207. 15. ლოთარ მათეუსი (გერმანია) — 202. 16. ჯორჯ ბესტი (ჩრდ. ირლანდია) — 187. 17. ხუან სკიაფინო (ურუგვაი) — 158. 18. რუუდ გულიტი (ჰოლანდია) — 119. 19. ჯანი რივერა (იტალია) — 116. 20. დიდი (ბრაზილია) — 116. 21. ჯუზეპე მეაცა (იტალია) — 108. 22. მათიას შინ დელარჟი (ავსტრია) — 106. 23. ფრიც ვალტერი (გერმანია) — 103. 24. ბობი მური (ინგლისი) — 98. 25. ხოსე მორენო (არგენტინა) — 96. 26. უგო სანჩესი (მექსიკა) — 85. 27, ჯორჯ ვეა (ლიბერია) — 79. 28. როჟე მილა (კამერუნი) — 78. 29. ხოსე ლეანდრო ანდრადე (ურუგვაი) — 74. 30. ფრანსისკო ჰენტო (ესპანეთი) — 73. 31. ჟიუსტ ფონტენი (საფრანგეთი) — 73. 32. ლადისლაო კუბალა (ჩეხეთი, უნგრეთი, ესპანეთი) — 71. 33. ფრანკო ბარეზი (იტალია) — 70. 34. იოზეფ ბიკანი (ჩეხეთი) — 63. 35.კარლ-ჰაინც რუმენიგე (გერმანია) — 59. 36. ომარ სივორი (არგენტინა) — 56. 37. ელიას ფიგეროა (ჩილე) — 55. 38. კევინ კიგანი (ინგლისი) — 53. 39. შანდორ კოჩიში (უნგრეთი, ესპანეთი) — 52. 40. ექტორ სკარონე (ურუგვაი) — 51. 41. იოზეფ მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია) — 46. 42. ჯიაცინტო ფაკეტი (იტალია) — 44. 43. სანდრო მაცოლა (იტალია) — 41. 44. რაიმონ კოპა (საფრანგეთი) — 41. 45. უვე ზეელერი (გერმანია) — 40. 46. ჰუნარ ნორდალი (შვეცია) — 36. 47. ზიზინიო (ბრაზილია) — 35. 48. თეოფილო კუბილიასი (პერუ) — 34. 49. არსენიო ერიკო (პარაგვაი) — 30. 50. დენის ლოუ (შოტლანდია) — 29 ქულა.

უძლიერესი მეკარეები

1. ლევ იაშინი (რუსეთი) - 1002 ქულა. 2. გორდონ ბენქსი (ინგლისი) - 717. 3. დინო ძოფი (იტალია) - 661. 4. ზეპ მაიერი (გერმანია) - 456. 5. რიკარდო ზამორა (ესპანეთი). - 443. 6. ხოსე ლუის ჩილავერტი (პარაგვაი) - 373. 7. პეტერ შმეიხელი (დანია) - 291. 8. პიტერ შილტონი (ინგლისი) - 196. 9. ფრანტიშეკ პლანიჩკა (ჩეხოსლოვაკია) - 194. 10. ამადეო კარისო (არგენტინა) - 192. 11. ჟილმარი (ბრაზილია) - 160. 12. ლადისლაო მაზურკევიჩი (ურუგვაი) - 144. 13. პატრიკ ჯენინგსი (ჩრდ. ირლანდია) - 132. 14. უბადლო ფილოლი (არგენტინა) - 121. 15. ანტონიო კარბახალი (მექსიკა) - 105. 16. ჟან-მარი პფაფი (ბელგია) - 95. 17. რინატ დასაევი (რუსეთი) - 89. 18. დიულა გროშიჩი (უნგრეთი) - 87. 19. თომას რაველი (შვეცია) - 66. 20. ვალტერ ძენგა (იტალია) - 62. 21. ვლადიმირ ბეარა (იუგოსლავია) - 59. 22. მიშელ პრიუდომი (ბელგია) - 57. 23. ჰარალდ შუმახერი (გერმანია) - 51. 24. რუდოლფ ჰიდენი (ავსტრია) - 50. 25. ივო ვიქტორი (ჩეხოსლოვაკია) - 44. 26. ფრანკ სვიფტი (ინგლისი) - 43. 27. უგო გატი (არგენტინა - 40. 28. ხორხე კამპოსი (მექსიკა) - 37. 29. ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია) - 36. 30. როკე მასპოლი (ურუგვაი) - 36. 31. თომას ნკონო (კამერუნი) - 36. 32. რენე იგიტა (კოლუმბია) - 33. 33. ჟოზეფ - ანტუან ბელი (კამერუნი) - 33. 34. ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი) - 32. 35. ემერსონ ლეაო (ბრაზილია) - 29. 36. იან ტომაშევსკი (პოლონეთი) - 29. 37. ჰანს ვან ბრეკელენი (ჰოლანდია) - 27. 38. ვალტერ ზემანი (ავსტრია) - 27. 39. მუჰამედ ალ-დაია (საუდის არაბეთი) - 25. 40 ჯანპიერო კომბი (იტალია) - 23). 41. ნასერ ჰეიაზი (ირანი) - 21. 42. ნევილ საუთჰოლი (უელსი) - 20. 43. ბადუზაკი (მაროკო) - 19. 44. ანდრეას კეპკე (გერმანია) - 17. 45. რონი ჰელსტრიომი (შვეცია) - 17. 46. იურგენ კროი (ყოფილი გდრ) - 15. 47. სადიკ ატუგა (ტუნისი) - 15. 48. როდოლფო როდრიგესი (ურუგვაი) - 10. 49. სერხიო ლივინგსტონი (ჩილე) - 10. 50. ლუის გაბელო კონეხო (კოსტა-რიკა) - 9.

ლევ იაშინი

მსოფლიოს უძლიერესი კლუბები

(1999 წლის მიწურულის მდგომარეობით)

1. „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) – 361 ქულა. 2. „პალმეირასი“ (ბრაზილია) – 291. 3. „პარმა“ (იტალია) – 289. 4. მიუნხენის „ბაიერნი“ (გერმანია) – 287. 5. რომის „ლაციო“ (იტალია) – 283. 6. „ვალენსია“ (ესპანეთი) – 253. 7. ლონდონის „ჩელსი“ (ინგლისი) – 248. 8. „მალიორკა“ (ესპანეთი) – 239. 9. „რივერ პლეიტი“ (არგენტინა) – 234. 10. ტურინის „იუვენტუსი“ (იტალია) – 225. 11. მადრიდის „რეალი“ (ესპანეთი) – 221. 12. „კორინთიანსი“ (ბრაზილია) – 219,5. 13. „ბარსელონა“ (ესპანეთი) – 218. 14. მადრიდის „ატლეტიკო“ (ესპანეთი) – 214. 15. „ფიორენტინა“ (იტალია) – 213. 16. „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) – 206. 17. სტამბოლის „გალათასარაი“ (თურქეთი) – 202. 18. ლონდონის „არსენალი“ (ინგლისი) – 197. 19. მოსკოვის „ლოკომოტივი“ (რუსეთი) – 195,5. 20. კალის „ამერიკა“ (კოლუმბია) – 193,5. 21. მონტევიდეოს „ნასიონალი“ (ურუგვაი) – 192. 22. კიევის „დინამო“ (უკრაინა) – 189. 23. „ლა-კორუნია“ (ესპანეთი) – 189. 24. „ველეს სარსფილდი“ (არგენტინა) – 189. 25. „სან-ლორენსო“ (არგენტინა) – 188. 26. გლაზგოს „სელტიკი“ (შოტლანდია) – 185,5. 27. ნანტი (საფრანგეთი) – 181. 28. „უნივერსიდად კათოლიკა“ (ჩილე) – 178,5. 29. პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) – 174. 30. „ლიონი“ (საფრანგეთი) – 170. 31. „უნივერსიტარიო“ (პერუ) – 169,5. 32. „კოლოკოლო“ (ჩილე) – 168. 33. ბორდოს „ჟირონდა“ (საფრანგეთი) – 167. 34. მარსელის „ოლიმპიკი“ (საფრანგეთი) – 166. 35. ბრემენის „ვერდერი“ (გერმანია) – 165. 36. „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) – 164. 36. „ნიუკასლ იუნაიტედი“ (ინგლისი) – 164. 38. „პორტუ“ (პორტუგალია) – 163,5. 39. კალის „დეპორტივო“ (კოლუმბია) – 163,5. 40. ბუენოსაირესის „ბოკა ხუნიორსი“ (არგენტინა) – 163. 41. პრაღის „სლავია“ (ჩეხეთი) – 159,5. 42. დორტმუნდის „ბორუსია“ (გერმანია) – 159. 43. „ემელეკი“ (ეკვადორი) – 158. 44. „მონაკო“ (საფრანგეთი) – 155. 45. „სერო პორტენიო“ (პარაგვაი) – 154,5. 46. „ესტუდიანტეს მერიდა“ (ვენესუელა) – 153. 47. „ოლიმპია“ (პარაგვაი) – 153. 48. „მილანი“ (იტალია) – 153. 49. ბრიუსელის „ანდერლეხტი“ (ბელგია) – 152,5. 50. ბერლინის „ჰერტა“ (გერმანია) – 152 ქულა.

სურათზე: 1999 წ. ჩემპიონთა ლიგის ფინალი: „მანჩესტერი“ — „ბაიერნი“. წამიც და ტედი შერინგემის თავურით პასს სოლსკიაერის — გამარჯვების გოლი მოჰყვება.

1999 წლის სეზონის საუკეთესო სნაიპერები

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა 1999 წლის სეზონის უძლიერესი სნაიპერების სია სპეციალური რეფერენდუმის შედეგების თანახმად.

1. მარიო ჟარდელი („პორტუ“, ბრაზილიელი) — 36 გოლი. 2. მარიო ნუნიესი (ჩილეს „ო'ჰიგინსი“) — 34. 3. ხოსე კარდოსო (პარაგვაელია, თამაშობს მექსიკის „ტოლუკაში“) — 33. 4. მარტინ პალერმო (არგენტინის „ბოკა ხუნიორსი“) — 32. 5. კუატემოკ ბლანკო (მექსიკის „ამერიკა“) — 31. 6. რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლანდიის პსვ „ეინდჰოვენი“) — 31. 7. ვიქტორ ანტელო (ბოლივიის „ბლუმინგი“) — 31. 8. ანტონიო ვიდალი (ბოლივიელი, თამაშობს არგენტინის „სტრონგესტში“) — 30. 9. ჰენრიკ ლარსონი (შვედი, თამაშობს „გლაზგო რეინჯერსში“) — 29. 10. გილერმე (ბრაზილიის „ატლეტიკო მინეირო“) — 28.

სურათზე: მარიო ჟარდელი

გასული წლის საუკეთესო ნაკრებების მწვრთნელები

1. ვანდერლეი ლუქსემბურგო (ბრაზილია) — 147 ქულა. 2. იოზეფ ხოვანეცი (ჩეხეთი) — 140. 3. ხოსე ანტონიო კამაჩო (ესპანეთი) — 123. 4. მანუელ ლაპუენტე (მექსიკა) — 65. 5. ნილს-იოჰან სემბი (ნორვეგია) — 34. 6. ტომი სედენბერგი (შვეცია) — 30. 7. ბუ იუჰანსონი (დანია) — 27. 8. კევინ კიგანი (ინგლისი) — 21. 9. ფრანკ რაიკაარდი (ჰოლანდია) — 18. 10. ვიქტორ პიცურკე (რუმინეთი) — 17. 11. ერიხ რიბეკი (გერმანია) — 17 ქულა.

სურათზე: ვანდერლეი ლუქსემბურგო

გასული წლის საუკეთესო მეკარეები

1. ოლივერ კანი (მიუნხენის „ბაიერნი“) – 116. 2. პეტერ შმეიხელი (ლისაბონის „სპორტინგი“) – 95. 3. ხოსე ლუის ჩილავერტი („ველეს სარსფილდი“) – 93. 4. ედვინ ვან დერ სარი („აიაქსი“, „იუვენტუსი“) – 90. 5. ჯანლუიჯი ბუფონი („პარმა“) – 46. 6. ფაბიენ ბარტეზი („მონაკო“) – 45. 7. დევიდ სიმენი („არსენალი“) – 45. 8. დიდა („კორინთიანსი“) – 29. 9. კარლოს როა („მალიორკა“) – 16.

სურათზე: ოლივერ კანი.

თავი გამოიჩინეს საერთაშორისო მატჩებში. კლუბსა და ნაკრებში

იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს 1999 წელს საერთაშორისო მატჩებში კლუბსა და ნაკრებში, პირველ ადგილზეა რაული (მადრიდის „რეალი“ და ესპანეთის ნაკრები). მან 14 გოლი გაიტანა. 2. რივალდო („ბარსელონა“ და ბრაზილიის ნაკრები) – 13 გოლი. 3. ალექსი („პალმეირასი“ და ბრაზილიის ნაკრები) – 13. 4. ბადრან შაგრანი (იორდანიის „რამტა“ და ნაკრები) – 12. 5. ტორე-ანდრე ფლო („ჩელსი“ და ნორვეგიის ნაკრები) – 12. 6. ვალერი კარპინი („სელტა“ და რუსეთის ნაკრები) – 11. 7. სერგეი რებროვი (კიევის „დინამო“ და უკრაინის ნაკრები) – 11. 8. როლანდო ფონსეკა („კომუნიკასიონესი“ და კოსტა-რიკის ნაკრები) – 10. 9. ზლატკო ზახოვიჩი (პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ და სლოვენიის ნაკრები) – 10. 10. ჰოსამ ჰასანი (კაიროს „ნასიონალი“ და ეგვიპტის ნაკრები) – 10. 11. ზაზა ჯანაშია (მოსკოვის „ლოკომოტივი“ და საქართველოს ნაკრები) – 10 გოლი.

ჯორჯ ვეა – აფრიკელი „ელჩი“

გივი ზამრეკელი.

გამოუქვეყნებელი წიგნიდან „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები“

ევროპისკენ. საფრანგეთის დასაპყრობად

ხომ გახსოვთ, რამდენი გადაიხადა „ტონერმა“ ახალგაზრდა ლიბერიელის შესაძენად? – 25 ათასი ფრანკი. გავიდა სულ ერთი წელი და ახალმა მეპატრონემ ვეა უკვე განთქმულ „მონაკოს“ მიჰყიდა ერთ მილიონ ფრანკად. მართალია, თავდაპირველად ვეას, როგორც ამბობდნენ, თამაში ინგლისში ერჩივნა, მაგრამ მონტე-კარლოც ხომ მეტად მიმზიდველი იყო. როგორც გამოირკვა, „მონაკოს“ წარმომადგენლებმაც ვეას თამაში კამერუნის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში ნახეს 1988 წლის გაზაფხულზე. ვეას მოტეხილი ხელი ჰქონდა თაბაშირში, მაგრამ ისე შესანიშნავად თამაშობდა, მაკრატელათი დაარტყა, რამდენიმე მცველს ჩამოიტოვებდა ხოლმე. „მონაკოს“ ბევრი აღარ უვაჭრია. საინტერესო ამბავია – ფეხბურთის მინდორზე სრულიად უშიშარ ვეას საფრანგეთში ჩასვლის წინ, უპირველეს ყოვლისა, სიცივისა ეშინოდა, მაგრამ იაუნდედან გამოფრენილს მონაკოში თბილი, მზიანი ამინდი დახვდა. ფრანგული კლავინდებურად თითქმის არ იცოდა და არც იმას ელოდა, რომ ამ ქვეყანაში მთელი 7 წლის გატარება მოუხდებოდა. ერთი რამ ცხადი იყო, ნამდვილ, პროფესიულ ფეხბურთს იგი პირველად ეცნობოდა, რადგან არც კამერუნში და, მით უმეტეს, არც ლიბერიაში საწვრთნელ-სასწავლო პროცესი არ შეიძლებოდა ასეთ დონეზე ყოფილიყო. მთელ ევროპაში კარგად ცნობილი მწვრთნელი არსენ ვენგერი გუნდთან ვარჯიშებთან ერთად დიდ დროს ანდომებდა ვეას ინდივიდუალურ მზადებას. ცხადია, ბევრი რამ, განსაკუთრებით ტაქტიკის სფეროში, არ იცოდა, იმის მიუხედავად, რომ უკვე 1986 წლიდან ლიბერიის ნაკრებში გამოდიოდა და თითქოს საერთაშორისო მატჩების გამოცდილებაც საკმაოდ ჰქონდა. აი, რას წერდა თვით ვეა: „ჩვენი ურთიერთობა მარტო ვარჯიშით არ ამოიწურებოდა. ყოველ საღამოს ვენგერი სახლში მირეკავდა, რათა დროზე დამეძინა, მამასავით მექცეოდა“. ახლა კი არსენ ვენგერს მოვუსმინოთ: „არასოდეს დამავიწყდება ჯორჯის პირველი გამოჩენა მონტე-კარლოში. იგი პირქუშად გამოიყურებოდა და არაფერს ამბობდა. თუმცა თითქმის მთელი წელიწადი იმიტომ დუმდა, რომ ფრანგულად მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა თუ შეეძლო. ზოგჯერ გაცხოველებული საუბრისას იგი შეუმჩნევლად გადადიოდა ინგლისურზე. განმარტოებული ცხოვრობდა, სახლში ადრე ბრუნდებოდა და მუდმივად უსმენდა მუსიკას. იმ პირველ წელს ჯორჯი გუნდში მესამე უცხოელი იყო და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდიოდა მინდორზე, თუკი გლენ ჰოდლი და მარკ ჰეიტლი არ თამაშობდნენ, მაგრამ გარეგნული გულჩახვეულობის მიუხედავად იგი საკუთარ ძალებში სრულიად დარწმუნებული იყო და თავს ბრიტანელებზე უარესად არ მიიჩნევდა.“ ლე რუა ფიქრობდა, რომ ვეას იმ პერიოდში საკმაო ჭკუაც ჰქონდა, ეშმაკობაც, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კი მეტად მტკიცე და მყარი იყო. ერთხელ, როცა ჰეიტლი მინდორზე ვერ გამოვიდა, იგი ვეამ შეცვალა და ისე კარგად ითამაშა, რომ გუნდის ხელმძღვანელობა პირდაპირ საგონებელში ჩააგდო, ამიერიდან ვისთვის მიენიჭებინა უპირატესობა.

ახლა კი ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემები მოვიყვანოთ: 1988-89 წლების სეზონში ვეამ „მონაკოს“ შემადგენლობაში 23 მატჩი ითამაშა და 14 გოლი გაიტანა, 1989-90 წლების სეზონში – 17 მატჩი და 5 გოლი, 1990-91 წ.წ. – 29 მატჩი და 10 გოლი, 1991-92 წ.წ. – 34 მატჩი და 18 გოლი. თვით ფეხბურთელი თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი „მონაკოს“ შემადგენლობაში 1989 წელს გაიტანა თავის პირველ მატჩში ჩემპიონთა თასზე. თამაშის წინ ვენგერმა თქვა: „ჩვენ აქამდე ვერც ერთხელ ვერ მოვახერხეთ ჩემპიონთა თასის მეორე წრეში გასვლა. ჯორჯ! შენ უნდა გაიტანო გოლი“. პირველ შეხვედრაში „მონაკო“ დამარცხდა ირლანდიის „ვალიურთან“ – 0-1, შინ კი მოიგო 2-0. „ამასთან, მეორე გოლი 40 მეტრის სიშორიდან გავიტანე. იმ წელს ჩემპიონთა თასის ნახევარფინალამდე მივაღწიეთ, სადაც გენუის „სამპდორიასთან“ დავმარცხდით. ოთხი წლის განმავლობაში „მონაკოში“ ბევრ რამეს მივაღწიე, მაგრამ გადავწყვიტე სხვა კლუბში წავსულიყავი, დამემტკიცებინა, რომ იქაც შემეძლო ძლიერად თამაში. 1991 წელს, როცა „მონაკო“ საფრანგეთის თასს დაეუფლა, პარიზის პოპულარულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ ვეა პირველ დივიზიონში მოთამაშე უცხოელთაგან საუკეთესოდ მიიჩნია. ახლა უკვე ლიბერიელით „პარი სენ-ჟერმენი“ დაინტერესდა. ვწერდით, რამდენი გადაუხადა კამერუნის „ტონერს“ „მონაკომ“ ვეაში – ერთი მილიონი ფრანკი. ახლა პარიზელები თანახმა იყვნენ „მონაკოსათვის“ უკვე ერთი კი არა, ხუთი მილიონი ფრანკი გადაეხადათ. ეს უკვე დიდი მოგება იყო, თვით ფეხბურთელიც ხომ პარიზისაკენ მიიწევდა და, ამრიგად, გარიგებაც შედგა.

არტურ ჟორჟე და ლუის ფერნანდესი

1992-93 წლების სეზონიდან ვეა უკვე „პარი სენ-ჟერმენში“ გამოდიოდა. პორტუგალიელი მწვრთნელი არტურ როჟე, რომელსაც სავსებით კარგად ხედავდა, როგორ ტალანტთან ჰქონდა საქმე, ვეას მაინცდამაინც არა სწყალობდა. ამას ჟურნალისტები იმითაც ხსნიდნენ, რომ დიდი განათლების მქონესა და ნამდვილ პოლიგლოტ ჟორჟეს, რომელიც თავისუფლად ლაპარაკობს რამდენიმე ენაზე, არ სიამოვნებდა ისეთ ადამიანთან ურთიერთობა, რომელმაც სულ რამდენიმე სიტყვა თუ იცოდა ინგლისურად და ფრანგულად. შემდგომში ვეამ გასაგებად შეისწავლა ფრანგული, მაინც დუმილს ამჯობინებდა. ცხადია, აღიზიანებდა, როცა მწვრთნელი ასე გულცივად ექცეოდა. მით უმეტეს, არსენ ვენგერის მამობრივი მზრუნველობის შემდეგ შეიძლებოდა ადვილად დაეკარგა წონასწორობა. არ შეიძლება ითქვას, რომ პირველი სეზონი პარიზში მაინცდამაინც წარმატებული გამოდგა. მან 30 მატჩში ითამაშა, მაგრამ სულ 14 გოლი გაიტანა, რაც მისთვის, რა თქმა უნდა, დაბალი შედეგი იყო. პარიზელმა გულშემატკივრებმა იცოდნენ, რა ურთიერთობა იყო ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის და მთლიანად ლიბერიელს თანაუგრძნობდნენ. თუმცა, პირველ სეზონში ბევრს ვერაფერს გახდა, მაგრამ მისგან, თვით ვეას აღიარებით, ძალიან კარგი მოგონება დარჩა. ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ ჟორჟე მეტად უკმაყოფილო რჩებოდა, როცა ვეა თამაშიდან განთავისუფლებას მოითხოვდა ლიბერიაში გასამგზავრებლად და იქ ეროვნული ნაკრების მატჩებში მონაწილეობის მისაღებად. უშვებდა, მაგრამ ვაი ამ გაშვებას. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ლიბერიის ნაკრებს საკმაოდ ბევრი შეხვედრა ჰქონდა აფრიკის პირველობის შესარჩევ ტურნირში, ბევრი მატჩი კი ბევრ უსიამოვნებას მოასწავებდა. მეორე მხრივ კი ეს ნაკრები ჯორჯის (თუ ფრანგულად უკვე ჟორჟის) გარეშე არაფერს წარმოადგენდა. გავიდა კიდევ ერთი წელი. 1993-94 წლების სეზონში ვეამ 32 მატჩი ითამაშა და 11 გოლი გაიტანა. 1994-95 წლების ჩემპიონატში 34 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა.

როცა არტურ ჟორჟემ პარიზის კლუბი დატოვა, და იგი ლუის ფერნანდესმა შეცვალა, ვეამ, შეიძლება ითქვას, თავისუფლად ამოისუნთქა. ჟორჟე, რა თქმა უნდა, ფეხბურთის დიდი სპეციალისტია, მაგრამ მოთამაშეებთან ძალიან მკაცრია და, როგორც ერთი ჟურნალისტი წერდა, ისინი საერთოდ არ არსებობენ მისთვის როგორც ადამიანები. როცა ფეხბურთელი რაიმე მიზეზის გამო სუსტად ატარებს მატჩს, ჯერ დიდი რისხვა დაატყდება, შემდეგ კი ჟორჟე საერთოდ აღარ სცემს მას ხმას. ლუის ფერნანდესი, მიშელ პლატინის ცნობილი პარტნიორი, ადვილად ამყარებს ურთიერთობას ფეხბურთელებთან. იცის მათი პრობლემები, ადამიანურია, და ყველას ანგარიშს უწევს. თუმცა მოთამაშეების დისტანციაზე დაჭერასაც საჭიროდ თვლის. ერთი სიტყვით, იგი სხვა მეთოდებით, მაგრამ მაინც იგივე შედეგს აღწევს, როგორსაც ჟორჟე – გუნდში სათანადო დისციპლინაა. ფერნანდესი იმით აღემატება ჟორჟეს, რომ არავის თრგუნავს, ყველას აძლევს თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას. ეს კია, რომ როგორც ჟორჟეს, ისე ფერნანდესსაც საკმაოდ ხშირად მოსდიოდა უკმაყოფილება „პარი სენ-ჟერმენის“ დირექტორატთან. ამ კლუბის მეპატრონეებს საფრანგეთის ჩემპიონობაც უნდდათ, თასიც, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაც, არც „მილანს“ აგდებენ არაფრად, არც „იუვენტუსს“, არც „ბარსელონასა“ და მადრიდის „რეალს“. მადაც ამას ჰქვია, მაგრამ...

ვეამ საფრანგეთში 7 სეზონი გაატარა. გადავხედოთ მის ტექნიკურ შედეგებს. საფრანგეთის ჩემპიონატში, ჯერ „მონაკოსა“ და შემდეგ „პარი სენ-ჟერმენში“ მან ჩაატარა 199 მატჩი, აქედან „მონაკოში“ – 103, პარიზში – 96, გაიტანა 79 გოლი („მონაკოში“ – 47, „პარი სენ-ჟერმენში“ – 32). ეს საშუალოდ ერთ მატჩში 0,4-ს უდრის. („მონაკოში“ – 0,46, „პარი სენ -ჟერმენში“ – 0,33).

საფრანგეთის თასზე ვეამ 34 მატჩში მიიღო მონაწილეობა: „მონაკოს“ შემადგენლობაში 20-ჯერ, „პარი სენ-ჟერმენში“ – 14-ჯერ. გაიტანა 13 გოლი („მონაკოში“ – 7, „პარი სენ-ჟერმენში“ – 6). საშუალოდ ერთ მატჩში გამოდის 0,38 („მონაკოში“ – 0,35, „პარი სენ-ჟერმენში“ – 0,43).

თავისი სახელი, როგორც მსოფლიო კლასის თავდამსხმელმა, ჯორჯ ვეამ „პარი სენ-ჟერმენში“ მოიპოვა. ცხადი გახდა, რომ მისი გადაბირება მრავალ კლუბს სურდა, რასაც „პსჟ“ მთელი მისი პრეტენზიების მიუხედავად, წინ არ აღუდგა. ბოლოს „მილანმა“ მეტი ინიციატივა გამოავლინა და ვეაც სწორედ მას დარჩა.

„ოქროს ბურთი-95“

მსოფლიოში მრავალი კონკურსი თუ გამოკითხვა არსებობს, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით, თავისთავად ცხადია, „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვა სარგებლობს. ვინ მონაწილეობს მასში? – კონტინენტის წამყვანი სპორტული გამოცემების ცნობილი მიმომხილველები. ისინი ევროპის №1 ფეხბურთელს ასახელებენ, სხვა ნომინაციებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

„ოქროს ბურთი-95“-ის ლაურეატის გამოვლენამ, საყოველთაო აზრით, სრულიად ობიექტური შედეგები მოიტანა.

144 ხმით პირველ ადგილზე გავიდა ჯორჯ ვეა. ამრიგად, იგი ევროპის №1 ფეხბურთელი გახდა და „ოქროს ბურთიც“ მიენიჭა. საინტერესოა, რომ მას, ბევრი წინა კონკურსისაგან განსხვავებით, სერიოზული კონკურენტი არა ჰყოლია. ისეთი ბრწყინვალე ოსტატიც კი, როგორიც იურგენ კლინსმანია, ვეას საგრძნობლად ჩამორჩა – მან 108 ხმით მეორე ადგილი დაიკავა. თუ ვეა ოცმა ჟურნალისტმა დაასახელა პირველ ადგილზე, კლინსმანს ეს პატივი მხოლოდ თორმეტმა მიაგო. რაც შეეხება დანარჩენ პრეტენდენტებს, ისინი არა მარტო ვეას, არამედ კლინსმანსაც საკმაოდ ჩამორჩნენ. ასე, მაგალითად, მესამე ადგილზე გასულმა ამსტერდამის „აიაქსის“ ფინელმა ვარსკვლავმა იარი ლიტმანენმა სულ 67 ხმა მიიღო. სეზონის ნამდვილმა აღმოჩენამ, ალესანდრო დელ პიერომ – 57, პატრიკ კლუივერტმა – 47, დანარჩენებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სულ წარმოდგენილი იქნა 49 ანკეტა, აქედან ვეას გვარი ნახსენებია 36-ში. ფრანგებმა, რა თქმა უნდა, ლიბერიელი პირველ ნომრად დაასახელეს.

ჯორჯ ვეა (წინა პლანზე, თეთრ მაისურში)

ასევე მოიქცნენ ჰოლანდიელები, პორტუგალიელები და მრავალი სხვა. თუმც იყო თავისებური კურიოზებიც. ასე მაგალითად, ინგლისელებმა, გერმანელებმა და იტალიელებმა ვეა საერთოდ არ შეიყვანეს პირველ ხუთეულში. ესპანელებმა მისთვის მხოლოდ მეოთხე ადგილი გაიმეტეს, ბერძნებმა კი, ასე გასინჯეთ, მხოლოდ მეხუთე. თუმცა, კაცია და გუნება, ნათქვამია...

ახლა კი „95-ის ოქროს გუნდს“ გადავხედოთ, რაც, ცხადია, დღესაც საინტერესოა: ვიქტორ ბაია, ბარეზი, დესაი, მალდინი, პაულო სოუზა, რაიკაარდი, ზამერი, ლიტმანენი, კლინსმანი, ვეა, კლუივერტი.

„მილანი“ მაინც სულ სხვაა

როგორც თვით ვეამ განაცხადა, საფრაგეთის შემდეგ მას ძალიან უნდოდა ეთამაშა იტალიასა და გერმანიაში. უფრო კონკრეტულად კი, ტურინის „იუვენტუსი“ იზიდავდა, „მილანი“ – უფრო ნაკლებად, რადგან მისი აზრით (რომელსაც ძნელია დაეთანხმო) ეს კლუბი და „პარი სენ-ჟერმენი“ დაახლოებით ერთ დონეზე არიან, მაგრამ მოხდა ისე, რომ ვეა სწორედ „მილანში“ აღმოჩნდა. მაგრამ თუ ჩვენ ადრე ვიცოდით, რამდენი გადაიხადეს ლიბერიელ ფეხბურთელში, ვთქვათ, „მონაკომ“ ან „პარი სენ-ჟერმენმა“, ახლა ზუსტი თანხის გაგება შეუძლებელი გახდა. პრესაში გამოქვეყნებული ცნობით, „მილანმა“ პარიზის კლუბს გადაუხადა 8 მილიონი დოლარი, მაგრამ, ზოგის, და როგორც ჩანს, სამართლიანი შეფასებით, ეს მაინც მხოლოდ „აისბერგის თავია“, და რა არის უფრო ღრმად, ასე იოლად ვერ გავიგებთ. საქმე ის არის, რომ ვეაზე უფლებები „მონაკომაც“ შეინარჩუნა, მასაც უნდა მიეღო თავისი წილი ლიბერიელის გაყიდვით, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თანხა რვა მილიონ დოლარს აღემატებოდა. ახლა კი ისე გამოვიდა, რომ ვეაზე გადახდილი ნამდვილი თანხის ოდენობას მარტო ჩვენ კი არა, თვით „მონაკოსაც“ კი უმალავდნენ.

მას შემდეგ, რაც მარკო ვან ბასტენმა გამოაცხადა, რომ ტრავმის გამო ვეღარ გააგრძელებდა თამაშს, „მილანმა“ დაიწყო ცენტრალური თავდამსხმელის ძებნა. რა თქმა უნდა, განხილული იქნა არაერთი კანდიდატურა. წინა ხაზზე „მილანს“ დარჩა გარეგნულად არც ისე ძლიერი, მაგრამ საგოლე ალღოს მქონე მარკო სიმონე. აშკარად არ გაამართლა ჯანლუიჯი ლენტინიმ, რომელშიც თავის დროზე ასტრონომიული თანხა გადაიხადეს. რობერტო ბაჯო და დეჯან სავიჩევიჩი მაინც მინდვრის სიღრმეში თამაშობდნენ, ერთი სიტყვით, სადმე უნდა ენახათ ნამდვილად მაღალი კლასის, შედეგიანი ცენტრფორვარდი, ეს კი, ცხადია, იოლი საქმე არ იყო. საბოლოოდ დარჩა ორი კანდიდატი: ურუგვაელი დანიელ ფონესკა (რომელიც იმხანად „რომაში“ თამაშობდა) და ჯორჯ ვეა, რომაელები თითქოს დათანხმდნენ ჰქონოდათ მოლაპარაკება, მაგრამ ისიც მშვენივრად იცოდნენ, რომ ფონსეკას გარეშე მათი თავდასხმა ძალას დაკარგავდა. ამიტომ ისეთი თანხა დაასახელეს, რომ თვით სილვიო ბერლუსკონიმაც კი ხელები გაასავსავა. სამაგიეროდ, მოლაპარაკება „პარი სენ-ჟერმენთან“ წარმატებით დასრულდა.

„მილანში“ ვეას ორჯერ უფრო მეტი ხელფასი დაუნიშნეს, ვიდრე პარიზში ჰქონდა. მართალია, მისი უკმაყოფილება შეეძლო გამოეწვია იმ ამბავს, რომ ეს ხელფასი მაინც ნაკლები იყო, ვიდრე ადრე რუუდ გულიტი, მარკო ვან ბასტენი და ჟან-პიერ პაპენი იღებდნენ (240 ათასი დოლარი თვეში), მაგრამ, ამას გარდა, „მილანში“ ხომ უხდიდნენ პრემიებს ყოველი მოგებისათვის, ეს კი წელიწადში თამამად შეადგენდა 500-600 ათას დოლარს. ისე, რომ...

ერთი სიტყვით, დაიწყო ვეას ახალი, 1995-96 წლების სეზონი, პირველი იტალიაში.

„მილანს“, სხვებზე მეტად, რობერტო ბაჯოსა და ვეას იმედი ჰქონდა. იგი ხომ, როგორც ყოველთვის, დიდ მიზნებს ისახავდა: უპირველეს ყოვლისა, „სკუდეტოს“ მოპოვებას (ქვეყნის ჩემპიონობა იტალიელებისათვის ყოველთვის მთავარი ამოცანაა) და ჩემპიონთა თასისათვის ბრძოლას. ამასთან, მრავალნაცადი, ფაბიო კაპელო, „მილანში“ რომ ამდენი წარმატება იზეიმა, კლუბში დარჩენას აღარ აპირებდა და უნდოდა მას ღირსეულად გამოთხოვებოდა. ვეა მთელი სეზონი ნამდვილად ბრწყინავდა. ისიც კი თქვეს, რომ ასე ძლიერად მას არასოდეს უთამაშია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იტალიაში ჩასულ უცხოელ ვარსკვლავებს, ყველას, უკლებლივ, აკლიმატიზაციისათვის, კარგა ხანი უნდებოდა, ერთი-ორი წელი მაინც. ვეას კი ამის მსგავსი არაფერი დასჭირვებია. ხომ უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა „მილანს“, მასზე ამბობდნენ, საჭიროების შემთხვევაში ორ გუნდსაც გამოიყვანსო. მაგრამ, როცა ვეა არ თამაშობდა, „მილანი“ ის აღარ იყო.

„ეს ისეთი თავდამსხმელია, რომელსაც მარტოდმარტო შეუძლია გადაწყვიტოს თამაშის ბედი“, – წერდნენ იტალიელი მიმომხილველები. ისიც აღინიშნა, რომ მას შემდეგ, რაც „მილანს“ გამოეთხოვნენ გულიტი, ვან ბასტენი და რაიკაარდი, შეტევითი სულისკვეთება გუნდში თანდათან ქრებოდა და იგი მხოლოდ ვეამ დაუბრუნა. დიახ, „მილანში“ მთელი სეზონის მანძილზე ვეა ძალიან დიდ როლს ასრულებდა. „მილანი“ ვეას მოთავეობით ის აწყობილი ანსამბლი იყო, რომელმაც იტალიის ჩემპიონატში მთელი რვა ქულით გაუსწრო „იუვენტუსს“, იმ გუნდს, რომელმაც მას წინა სეზონში პირველობა ჩამოართვა.

ერთი სიტყვით, „ოქროს ბურთის“ ლაურეატმა მთლიანად გაამართლა მილანელთა იმედები. მან იტალიის პირველობაზე 12 გოლი გაიტანა, ყველაზე მეტი „მილანში“ (სიმონემ – 8, შვიდ-შვიდი კი რობერტო ბაჯომ და სავიჩევიჩმა).

აი, რა განაცხადა იმ სეზონის დამთავრების შემდეგ ვეამ:

„მე იმედი მაქვს, რომ ჩემი თამაშის ახლანდელ დონეს 33-34 წლის ასაკამდე შევინარჩუნებ. შემდეგ კი მინდოდა მცირე ხნით „მონაკოს“ დავბრუნებოდი, სადაც დავამთავრებ კიდეც ჩემს კარიერას. მე ისე მგონია, რომ კარიერის მიწურულში ლიბეროს მოვალეობას ურიგოდ არ შევასრულებდი. ვიმედოვნებ, ძლიერი მცველი ვიქნები, მინდორს კარგად ვხედავ. პრინციპულად თუ ვიმსჯელებთ, ძალა ჭკვიან ფეხბურთელს, რომელსაც თავით თამაში შეუძლია, კარიერის ბოლოს ლიბეროს ფუნქციებს შეასრულებს, როგორც, მაგალითად, რუუდ გულიტი. ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომ უკანასკნელ წლებში დაცვის ხაზზე ვითამაშებ. შემდეგ კი მონროვიაში დავბრუნდები, რათა ახალგაზრდებს გადავცე ჩემი გამოცდილება. ჯერ კლუბის მწვრთნელი გავხდები, შემდეგ კი ლიბერიის ნაკრებს ჩავუდგები სათავეში.

ლიბერია, ისევ ლიბერია

როცა ლიბერიის ნაკრებზე ჩამოვარდება სიტყვა, ვეა უცბად გამოცოცხლდება ხოლმე. ამ გუნდში, რომელიც აფრიკული მასშტაბით აქამდე არაფრით გამოირჩეოდა, ვეა ჯერ კიდევ 1986 წლიდან თამაშობს. როცა ლიბერიელებს რაიმე საერთაშორისო მატჩი აქვთ, ასეთი კი საკმაოდ ბევრია, ისინი ევროპაში წასულ მოთამაშეებს გამოუძახებენ ხოლმე, მაგრამ მათი ჩამოსაყვანი თანხა ფედერაციას არ გააჩნია. თუმცა არის გამოსავალიც – ვისაც შეუძლია, ევროპიდან თვით იღებს გამოსამგზავრებელ ბილეთს, ვისაც არა, მას ფულს უხდის... ვეა. ადრე, ქვეყნის პრეზიდენტ სამუელ დოუს დროს ლიბერიელ ფეხბურთელებს კიდევ არა უშავდათ რა. პრეზიდენტი მათ ყველგან დაჰყვებოდა, ხარჯებს თვითონ ფარავდა, ერთხელ კი, ასე გასინჯეთ, თავი მოიქაჩლა და ნაკრების შეკრება მოაწყო... ბრაზილიაში. როცა ლიბერიაში სამოქალაქო ომი დაიწყო, ფეხბურთისათვის უკვე აღარავის ეცალა. პრეზიდენტი მოკლეს. ისე რომ, ნაკრებისათვის ზრუნვა უკვე ვეას მოუხდა, რომელმაც მთელ გუნდს უყიდა სპორტული ფორმა, ყოველგვარი აღჭურვილობა, თვით ხომ არასოდეს გამოტოვებს ხოლმე მის მატჩს, და, გასაგებია, კარგა ხანია გულშემატკივრების ნამდვილი კერპია. ნაკრების გარდა, ვეას ლიბერიაში სხვა საზრუნავიც აქვს. 1993 წლის დეკემბერში, როცა თავი პარიზში საკმაოდ მყარად იგრძნო, მან მონროვიაში შექმნა კლუბი „ჟუნიორზ პროფეშნლზი“, რომლის ბიუჯეტი ღარიბღატაკი ქვეყნისთვის პირდაპირ ზღაპრული იყო – 15 ათასი დოლარი წელიწადში. ფეხბურთელები თვეში 30-30 დოლარს იღებდნენ, მეტს, ვიდრე სხვა ლიბერიულ კლუბებში. „პუმასა“ და „დიადორას“ ბუცები ჰქონდათ და ყველანი ერთად ცხოვრობდნენ სახლში, რომელიც ვეამ დაიქირავა. ეს კლუბი თანდათან მომძლავრდა, ლიბერიის პირველ დივიზიონში გადავიდა და ერთ-ერთი ფავორიტი გახდა.

ერთი სიტყვით, თამაშს რომ თავს დაანებებს, ვეამ კარგად იცის, რა უნდა აკეთოს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №5.

სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში

ვეიკ-ან-ზეეში (ჰოლანდია) გრძელდება წლის პირველი სუპერტურნირი 14 უძლიერესი დიდოსტატის მონაწილეობით.

სამი ტურის შემდეგ შეჯიბრებას სამი ლიდერი ჰყავს: გარი კასპაროვი, ვლადიმირ კრამნიკი (ორივე — რუსეთი) და იერუნ პიკეტი (ჰოლანდია). მათ 2,5-2,5 ქულა აქვთ. დღემდე გათამაშებულ პარტიებში მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა მოუგო ვიქტორ კორჩნოის (შვეიცარია) და ლიუკ ვან ველის (ჰოლანდია), ვლადიმირ კრამნიკმა მესამე ტურში ლამაზად წარმართული იერიშით სძლია ნაიჯელ შორტს (ინგლისი), ხოლო ახალგაზრდა ჰოლანდიელ პიკეტისა და მის ცნობილ თანამემამულე იან ტიმანის შეხვედრა თანამედროვე ტურნირებისათვის საკმაოდ იშვიათი შედეგით დასრულდა — ტიმანმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტადაც კი ითვლებოდა, მიიღო შამათი.

ალექსანდრ ხალიფმანი

მსოფლიოს მეთოთხმეტე ჩემპიონის პორტრეტისათვის

ალექსანდრ ხალიფმანი, ზაფხულიდან მოყოლებული, მსოფლიოს მე-14 ჩემპიონია (ამიერიდან გადაწყდა აღარავინ იხმაროს რაღაც უსახური განსაზღვრა „ფიდეს მსოფლიო ჩემპიონი"), მაგრამ მას ჩვენი გულშემატკივრები ნაკლებად იცნობენ.

იგი დაიბადა 1966 წლის 18 იანვარს (ყოფილ) ლენინგრადში. 6 წლისამ მამისაგან ისწავლა თამაში. ყმაწვილის პირველი მწვრთნელი ქალაქის პიონერთა სასახლეში იყო ვასილი ბივშევი, ცნობილი ოსტატი, რომელიც 50-იან წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მონაწილეობდა, როგორც მწვრთნელი ჯერ მსოფლიო ჩემპიონ ლიუდმილა რუდენკოს ეხმარებოდა, შემდეგ კი განთქმული დიდოსტატი მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ირინა ლევიტინა აღზარდა. ბივშევის შემდეგ ჭაბუკ ხალიფმანს კარგა ხანს წვრთნიდა (და ახლაც ასრულებს ამ მოვალეობას) დიდოსტატი მიმოწერით ჭადრაკში, არაერთი საინტერესო წიგნის ავტორი გენადი ნესისი. ხალიფმანი დღემდე ძალიან უმადლის მას.

1982 წელს ხალიფმანი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ბიჭებს შორის, 1984 წელს – საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის. 1985-86 წლებში – ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებს შორის.

გაიმარჯვა არაერთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში: 1985 და 1987 წლებში მოსკოვში, 1990 წელს პირველი ადგილი დაიკავა ნიუ-იორკის ღია ჩემპიონატში და მოიგო დიდი ფულადი პრიზი – 20 ათასი დოლარი. იმავე 1990 წელს გაიმარჯვა გრონინგენში, 1991 წელს – ლონდონში, 1993 წელს – ტერ აპელში. 1993 წელს პირველად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატის საზონათაშორისო ტურნირში, შვეიცარიის ქ. ბილში, სადაც გაიყო მე-2-9 ადგილები. 1994 წელს გაიმარჯვა ბურგასში, 1995-96 წლებში 1-3 ადგილები გაიყო ჰასტინგსში. 1995 წელს პირველი პრიზი მოიპოვა სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო ტურნირში, 1996 წელს რუსეთის ჩემპიონი გახდა ელისტაში. შემდეგში მისი წარმატებები გაგრძელდა: 1996 წელს პირველი ადგილი დაიკავა ბად ვიურისჰოფენში, 1997 წელს გაიმარჯვა სანკტ-პეტერბურგის ღია ჩემპიონატში, 1998 წელს – აარჰუსში, 1998 წელს – ბად ვისზეეში.

სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა გერმანიაში. აი რას წერს მის შესახებ გერმანელი ჟურნალისტი და მოჭადრაკე კლაუს-ულრიხ გროტი ჟურნალ „როხადეში": „იგი ჰსვ დუისბურგის" პირველ დაფაზე თამაშობდა და ჩემი დიდი პატივისცემაც დაიმსახურა. შემდეგ გამოდიოდა „ფრანკფურტსა" და „შტადტჰაგენის" გუნდებში. იქ გამოსვლა ამ კლუბების გაკოტრების შემდეგ შეწყვიტა. იმ ხანებში ბევრს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მას, ცოტა არ იყოს, მძიმე ხასიათი ჰქონდა, და ალკოჰოლში ჰპოვებდა შვებას. ამის გამო ჩემს გუნდში რომ მოვიწვიე, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ აშკარად შევცდი. იგი აბსოლუტური პროფესიონალი გამოდგა, თავიდან ბოლომდე გვერდში გვედგა, უაღრესად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. გვეხმარებოდა სხვა გუნდებთან შეხვედრის დროს ენების მშვენიერი ცოდნითაც. შესანიშნავად ფლობს ინგლისურს და, რა თქმა უნდა, გერმანულსაც.

ხალიფმანის უმაღლეს მიღწევად, თავისთავად ცხადია, მსოფლიოს მეორე ჩემპიონატში გამარჯვება ითვლება, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ზაფხულში ლას-ვეგასში (აშშ) გაიმართა. გადავხედოთ მის გრძელ გზას ამ უძნელეს ასპარეზობაზე.

პირველ წრეში (ანუ 1/64 ფინალში) ხალიფმანი ინდოელ დიდოსტატ ბარუას შეხვდა და... ძალიან გაუჭირდა. წააგო პირველივე პარტია, შემდეგ კი რევანში აიღო. ვერაფერს გახდა ვერც სწრაფ პარტიებში – მეტოქეებმა აქაც თითო პარტია მოიგეს. მხოლოდ შემდეგმა შეხვედრებმა მოუტანეს ხალიფმანს უპირატესობა – 1,5:0,5. საბოლოო ანგარიში კი ამ მრავალტანჯულ მატჩში 3,5:2,5 იყო, როგორც ახლა ამბობენ „ელოფავორიტის" სასარგებლოდ.

მეორე მეტოქე 1/32 ფინალში ძველი სანკტპეტერბურგელი ნაცნობი გატა კამსკი იყო. გატას, მას შემდეგ, რაც 1996 წელს ელისტაში მსოფლიო პირველობის მატჩში დამარცხდა ანატოლი კარპოვთან, ჭადრაკი, ფაქტობრივად, მიტოვებული ჰქონდა, მაგრამ ამჯერად თამაში გადაწყვიტა. აი, რა თქვა მისმა მამამ და მენეჯერმა რუსტამ კამსკიმ: „ჩვენ გვჭირდება ფული, რათა გატას სწავლის პროცესი დავაფინანსოთ. ერთი წელი სამედიცინო ინსტიტუტში 45 ათასი დოლარი ღირს. გატამ უკვე დაამთავრა სამედიცინო კოლეჯი. კიდევ ოთხი წელი უნდა ისწავლოს".

ასე იყო თუ ისე, ხალიფმანმა კამსკისთან პირველი შეხვედრა წააგო, შავებით, სიცილიურ დაცვაში. სამაგიეროდ, თეთრებით შესანიშნავი გამარჯვება იზეიმა, უკეთესად ითამაშა სწრაფ პარტიებშიც – 1,5: 0,5. საბოლოო ანგარიში – 2,5:1,5.

1/16 ფინალში, ანუ მესამე წრეში, შედარებით იოლი აღმოჩნდა ახალგაზრდა სომეხ დიდოსტატ კარენ ასრიანთან შეხვედრა. ყოველ შემთხვევაში, ხალიფმანი ძირითად დროში ჩაეტია: 1,5:0,5.

1/8 ფინალში ხალიფმანი მინსკიდან ისრაელში გადასახლებულს, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს დიდოსტატ ბორის გელფანდს შეხვდა. ფავორიტად გელფანდი ითვლებოდა, მაგრამ ეს აზრი არ გამართლდა. ორი პირველი შეხვედრა ყაიმით დასრულდა, შემდეგ კი ხალიფმანმა ერთი მოიგო, მეორე კი ყაიმით დაასრულა – 2,5: 1,5. ეს უკვე მეტად მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

მომდევნო მეტოქე, მეოთხედფინალში განთქმული იუდით პოლგარი იყო. აქ არ დასჭირდა დამატებითი პარტიების გამართვა – 1,5:0,5.

ნახევარფინალის მეტოქე, მანამდე ყველასათვის უცნობი, მაგრამ სინამდვილეში მეტად ძლიერი ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ იყო. თავისი ძალა რუმინელმა ხალიფმანთან შეხვედრაშიც დაამტკიცა: 0,5, 0,5, 1, 0, 1, 0,5 – 3,5:0,5 სანკტ-პეტერბურგელის სასარგებლოდ.

და აი, ფინალიც დიდად ნიჭიერ, „პატარა პეტროსიანად" (მეტოქეები „გაუარესებულ პეტროსიანსაც" უწოდებენ) წოდებულ ვლადიმირ აკოფიანთან. „როგორც ყველა სომეხი, ცოტა ზარმაცი ვარ, თორემ... ამბობს აკოფიანი. ეს მატჩი ალექსანდრ ხალიფმანმა მოიგო – 3,5:2,5 და, ამრიგად, მსოფლიოს მეთოთხმეტე ჩემპიონი გახდა.

აი, რამდენიმე ნაწყვეტი ალექსანდრ ხალიფმანის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● ***იყავით თუ არა ტურნირამდე დარწმუნებული, რომ ჩემპიონი გახდებოდით?***

– როგორ გითხრათ. ყოველი მატჩის დაწყების წინ მხოლოდ კონკრეტულ შეჯიბრებაზე ვფიქრობდი, შორს არ ვიხედებოდი. პირველ წრეში ბარუასთან შეხვედრამ კინაღამ თავზარი დამცა. კამსკისთან თამაშის წინ მაინტერესებდა, როგორ ჩაიარა მისთვის იმ სამმა წელმა, ჭადრაკს რომ არ გაჰკარებია. კვალი დაუმჩნევია, როგორ არა! ძალიან გამიჭირდა ბორის გელფანდთან თამაში, ჩვენ ხომ ამდენი წელია ახლო მეგობრები ვართ. იუდით პოლგართან მთელი ძალის ვთამაშობდი, რათა დამეცვა „ძლიერი სქესის" სახელი „სუსტი სქესის" შემოტევისაგან. ზოგნი ლივიუ-დიტერ ნისიპეანუს წარმატებებს იღბალს მიაწერდნენ, მაგრამ წინასწარ ვნახე მისი პარტიები და დავრწმუნდი, რომ იღბალი არაფერ შუაში იყო. აკოფიანთან შედარებით დებიუტებში უკეთ ვიყავი მომზადებული, ამ მატჩის ბედი უფრო ნერვებმა გადაწყვიტა.

● ***ნახევარ მილიონზე მეტი ჰონორარი მიიღეთ, როგორ გამოიყენებთ ამ თანხას?***

– სანკტ-პეტერბურგის ცენტრში დიდი ბინა მაქვს, მაგრამ იქ მაინცდამაინც კარგად ვერ ვგრძნობ თავს. საჭიროა მისი გარემონტება. ამ მხრივ ლას-ვეგასმა სწორედ სულზე მომისწრო. მანქანასაც ვიყიდი, საჭესთან ისეთივე ფხიზელი ვიქნები, როგორც ჭადრაკის დაფასთან.

● ***რა დამოკიდებულება გაქვთ მსოფლიო ჩემპიონობის ტახტზე თქვენს წინამორბედ კარპოვთან?***

– სრულიად ნორმალური. ერთხელ თავის საწვრთნელ შეკრებაზეც კი მიმიწვია.

● ***კასპაროვთან?***

– ერთხელ მეტად ცუდად მომიხსენია. დღესაც მახსოვს.

● ***რას იტყვით თქვენს გვარზე და ოჯახზე?***

– ძველი ინტელიგენტების ჩამომავალი ვარ. 1914 წელს გამოცემულ ცნობარში „მთელი პეტერბურგი" მოიხსენიება გვარით „ხალიფმანი". ეს იყო ჩემი დიდი პაპა. ერთი ჩემი დიდედა მასწავლებელი იყო, მეორე – ექიმი. ერთი პაპა შალიაპინის მუზეუმის დირექტორი იყო, მეორე მასწავლებელი. ჩემი მშობლები ინჟინრები არიან.

ასეთია ახალი მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ იმასაც ხომ ამტკიცებენ, რომ მასზე უკეთ მაინც რამდენიმე დიდოსტატი თამაშობს. მაინც რამდენი? ეს, ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი. ვინ იცის?

ბივი ბამრეკელი



ნბა

17 იანვარი: ნიუ-იორკი – დეტროიტი 105-94; ფილადელფია – ნიუ-ჯერსი 101-96; ვაშინგტონი – ბოსტონი 101-105; შარლოტი – ტორონტო 115-94; ატალანტა – მილუოკი 101-107; მინესოტა – ინდიანა 101-100; დალასი – ჰიუსტონი 111-122; კლიპერსი – სან-ანტონიო 93-99; ლეიკერსი – სიეტლი 81-82; გოლდენ სტეიტი – ორლანდო 113-100.

18 იანვარი: მაიამი – ჩიკაგო 85-92 (დ.დ.); ჰიუსტონი - პორტლენდი 90-89; საკრამენტო – კლიპერსი 104-98; სიეტლი – კლივლენდი 99-80.

19 იანვარი: ბოსტონი – ტორონტო 94-90; ნიუ-იორკი – ნიუ-ჯერსი 90-89. ფილადელფია – ატლანტა 107-89; ვაშინგტონი – დალასი 86-104. ინდიანა – მილუოკი 106-84; ჩიკაგო – შარლოტი 86-96; სან-ანტონიო – პორტლენდი 95-105; იუტა – მინესოტა 88-91; ლეიკერსი – კლივლენდი 95-86.

სატურნირო მდგომარეობა:

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	თ.	მ.	წ.	%
მაიამი	37	24	13	64,8
ნიუ-იორკი	38	24	14	63,2
ფილადელფია	39	23	16	58,9
ბოსტონი	38	18	20	47,4
ორლანდო	38	16	22	42,1
ნიუ-ჯერსი	37	14	23	37,8
ვაშინგტონი	40	12	28	30,0
ცენტრალური დივიზიონი:				
ინდიანა	38	26	12	68,4
დეტროიტი	37	21	16	56,7
მილუოკი	40	22	18	55,0
შარლოტი	37	20	17	54,1
ტორონტო	38	20	18	52,6
კლივლენდი	38	15	23	39,5
ატალანტა	36	13	23	36,1
ჩიკაგო	36	6	30	16,6

დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი:				
იუტა	36	24	13	66,6
სან-ანტონიო	40	25	15	62,5
მინესოტა	36	20	16	55,5
დენვერი	36	17	19	47,2
ჰიუსტონი	37	14	23	37,8
დალასი	38	13	25	34,2
ვანკუვერი	36	10	26	27,7
წყნარი ოკეანის დივიზიონი				
ლეიკერსი	40	33	7	82,5
პორტლენდი	39	29	10	74,4
სიეტლი	39	26	13	66,7
საკრამენტო	36	24	12	66,7
ფინიქსი	36	21	15	58,3
კლიპერსი	38	10	28	26,3
გოლდენ სტეინი	37	7	30	18,9

საქართველოს წყალთა სახეობების ფედერაცია, ვეტერანი წყალბურთელები და საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა-ვერეს" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ წარსულში ცნობილ წყალბურთელს ნოდარ კურტანიძეს დედის

ირინე კურტანიძის

გარდაცვალების გამო.
პანაშვიდი 21,22 I, 17 საათზე; გამოსვენება 23.I, 14 საათზე.



21 იანვარი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ხელბურთი, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო – ბელორუსია. პირდაპირი რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან (16.55), ***II არხი.*** სუპერმატჩი (20.00) ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატი-98: ბრაზილია – ჰოლანდია, ნახევარფინალი (13.50), მატჩი მესამე ადგილისათვის – ჰოლანდია – ხორვატია (19.15). „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები". ფრანც ბეკენბაუერი (16.55), ევროპის საფეხბურთო კვირეული (21.00). პროფესიული საფეხბურთო პრემიის გადაცემის ცერემონიალი (22.15), საკლუბო გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის ჰიტ-პარადი (23.15). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი. (15.05). კარატე-კეკუნსიკაი. ევროპის ჩემპიონატი (17.45), ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი (23.55), ***ESPN.*** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (8.00), ესპანეთის საფეხბურთო ლიგის მიმოხილვა (17.00). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.00, 18.00, 13.45, 15.00, 16.00, 17.00, 19.00). ჩოგბურთი, ავსტრალიის ღია პირველობა (20.00, 2.30), ფეხბურთი. ლაზის თასის გათამაშება, თურქეთიდან (22.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონტე კარლოდან (2.15, 4.15).

22 იანვარი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი დინამო – თსუ, II ტაიმი (12.55), სტადიონი (19.05), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.05), ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიოს ჩემპიონატი-98: მატჩი მე-3 ადგილისათვის, ჰოლანდია – ხორვატია (13.15), ბრაზილია – საფრანგეთი, ფინალი (20.45). ევროპის საფეხბურთო კვირეული (15.05). პროფესიული საფეხბურთო პრემიის გადაცემის ცერემონიალი (15.55), საკლუბო გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის ჰიტ-პარადი (17.00). „მატჩი თქვენი შერჩევით", იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატიდან (23.25), არჩევანში დამარცხებული მატჩის ტრანსლაცია (1.35). ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი (14.25, 19.55). ძიუდო. საერთაშორისო ტურნირი (0.35), ***ESPN*** კალათბურთი. ნბა (4.00, 5.00, 15.00). ფეხბურთი: ინგლისის პრემიერლიგა (19.00, 23.00), ესპანეთის (23.00) და იტალიის (23.25) საფეხბურთო ჩემპიონატების მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 2.15,4.45) მონტე კარლოდან. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.00, 13.00, 17.00, 18.00, 19.00). ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა (20.00, 3.30). ფეხბურთი. ლაზის თასი, თურქეთიდან (22.30).

23 იანვარი , კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, საქართველო-ბელორუსია. პირდაპირი რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან (16.55), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.40). ***НТВ плюс футбол.*** იტალიის (13.15, 23.25), ესპანეთის (17.30), ინგლისის (19.55) ჩემპიონატები და მიმოხილვა. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი: ბრაზილია – საფრანგეთი (15.00). ***НТВ плюс спорт.*** ძიუდო. საერთაშორისო ტურნირი (12.25, 0.00), ჭადრაკი. ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი (14.40), ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი (16.00, 21.55). ***ESPN.*** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი 1999/2000 (4.00, 16.30). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.45, 15.00, 16.30, 17.15). ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა (19.00, 2.45); ფეხბურთი. აფრიკის ეროვნებათა თასი (23.00, 23.45).

კროსვორდი №6



თარაზულად: 6. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, 7. სპორტის ზოგიერთ სახეობაში რამდენჯერმე განმეორება უკეთესი შედეგის მისაღწევად, 8. თბილისი „დინამოს" უფროსი თაობის ფეხბურთელი, 10. ჰოკეის ბურთი, 12. სპორტის საწყლოსნო სახეობა, 13. ქართულ ლიტერატურაში ცნობილი ცხენის სახელი, 15. ნავი, რომლითაც ბერძნები კოლხეთს მიადგნენ, 16. ნბა-ს ლეგენდარული მოთამაშე, 17. ტანვარჯიშული იარაღი. 19. თამაშის მონაკვეთი ჩოგბურთში, 21. საფეხბურთო გუნდი, რომელსაც რ. ძოძუაშვილი წვრთნიდა, 22. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 23. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი, 26. ტანვარჯიშული ილეთი, 28. პარაგვაელი ფეხბურთელი (მ/ჩ — 98), 29. აშშ-ს მძლეოსანი, 1964 წლის ოლიმპიური ჩემპიონი 200 მ. რბენაში, 31. მსოფლიო ჩემპიონი არგენტინელი ფეხბურთელი.

შვეულად: 1. იალქნის ძელი, 2. ნორვეგიელი ფეხბურთელი, 1998 წ. მ/ჩემპიონატის მონაწილე, 3. ჰიდაობის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 4. ნავით მოასპარეზე, 5. ცურვის სტილი ანუ... 7. სპორტის ეროვნული სახეობა, 9. ინგლისის საფეხბურთო გუნდი, 10. ინგლისის პრემიერ ლიგის გუნდი, 11. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 14. ინგლისის პრემიერ ლიგის გუნდი, 16. სპორტში უმაღლესი მიღწევა, 18. სახიფათო გადაწყვეტილება, ანუ.. 19. ფეხბურთელის ამპლუა, 20. საავტომობილო ფირმა (ფორმულა-1), 24. ახ გარდაცვლილი გერმანელი საფეხბურთო მწვრთნელი, 25. აშშ-ს საფეხბურთო ნაკრების წევრი 1998 წლის მ/ჩემპიონატზე, 26. შედეგი ჭადრაკში, 27. სვლა ჭადრაკში, 30. შედეგი სპორტში.

№5 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. ტომბა, 6. სოსიედადი, 8. თარჯი, 9. ბორგი, 11. ბურე, 13. სკა, 15. ასპე, 16. შელია, 18. ქაკო, 19. ელინგი, 20. როსი, 21. კროლი, 22. კროშე, 25. იონი, 28. ამინი, 30. კარტინგი, 31. ბილიარდი, 32. გუი, 33. ბიგანიშვილი, 34. ისა. **შვეულად:** 1. ისარი, 2. ბეტი, 4. ბაჯო, 5. გალათასარაი, 6. საბო, 7. დრიბლინგი, 10. ბჯენი, 12. სელტიკი, 14. კაკულია, 17. ლელო, 18. ჟორდანია, 23. ენდი, 24. ზემქლავი, 26. ნარდი, 27. ინძაგი, 29. ისინდი, 31. ბაია.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კa4! 1. ...g5 2. კe8X.
1. ...მფg5 2. კb5X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435, INDEX. ● „ლელო" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.